დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ირმა ხმელიძე**

წევრები:

ნანა ვარდმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	233137361

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი ბაისუბანი
საფოსტო ინდექსი	2700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	baisubani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577255412

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის ბრძანება MES 0 26 0000464788
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 18 და 19 მაისს

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური (I–VI კლასები)	ქართული	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა-ერთი შენობა
	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური (VII–IX კლასები)	ქართული	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა-ერთი შენობა
	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	შუალო საფეხური (X–XII კლასები)	ქართული	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა-ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 18-19 მაისს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტს და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. ერთობლივი შეთანხმებით შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, გაიწერა დისტანციურად ჩართვის დროის განრიგი საგნობრივ ექსპერტებსა და სკოლის პედაგოგებს შორის და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს , მშობლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა საგნის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამების სახით, სკოლის წარმომადგენლებს გაცნობის მიზნით წარედგინათ ძირითადი რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოიკვეთა სკოლის მასალებით, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობის შედეგად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა კახეთის რეგიონის , ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლის სკოლაა. სკოლა რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან. მოსწავლეთა თითქმის ნახევარი (105 მოსწავლე) ეთნიკურად აზერბაიჯანელია. ეს საკითხი გავლენას ახდენს სასკოლო საზოგადოების სპეციფიურ საჭიროებებზე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ბოლო წლებში შეინიშნება მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა აზერბაიჯანელი მოსწავლეების მხრიდან სკოლაზე მომართვიანობის გაზრდის ხარჯზე. როგორც დირექციამ აღნიშნა,

ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეები მიზანმიმართულად ირჩევენ ქართულ სკოლას, რათა მათმა შვილებმა ისწავლონ ქართული, რაც მათ ერთ-ერთ მთავარ საჭიროებად აქვთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში ადვილად ადაპტირების მიზნით. სწორედ ამიტომ, სკოლას უდიდესი პასუხისმგებლობა და როლი აკისრია, და მნიშვნელოვანია ამ პასუხისმგებლობის ღირსეულად გამოყენება ქვეყნის წინაშე. სკოლის დირექცია აცნობიერებს აღნიშნულ სირთულეებს და გამოთავამს სრულ მზადყოფნას თავისი წილი პასუხისმგებლობების ეფექტურად შესრულების მიმართულებით. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეების უმეტესობა ქართულად ცუდად საუბრობს, ნაწილმა კი საერთოდ არ იცის ქართული (სკოლაში ახალი დარეგისტრირებული ბავშვები) და შესწავლის პროცესშია. რადგან მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლაში ისევ თავის მშობლიურ ენაზე საუბრობს, ეს პროცესი ართულებს ენის შესწავლას. აღინიშნა ისიც, რომ ქართველმა მოსწავლეებმა ისწავლეს აზერბაიჯანული და ზოგჯერ საკომუნიკაციოდ ეს ენა გამოიყენება სკოლაში. ენობრივ სირთულეებს ემატება ისიც, რომ სკოლაში 2026 წლის თებერვალში მომხდარი ხანძრის შედეგად სკოლის 5 საკლასო ოთახი დაზიანდა და საჭიროებს სრულ აღდგენა-რეაბილიტაციას. ამ ფაქტის გამო, სკოლას მოუწია საკლასო ოთახების ლაბორატორიების ოთახებში გადატანა და დიდი სივრცეების მაქსიმალურად ათვისება, რადგან ზოგიერთ კლასებში 28-29 მოსწავლე აღირიცხება და სივრცის ნაკლებობის საკითხი დგება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში დროულად მოხდეს დაზიანებული ფლიგელის აღდგენა, რათა სკოლამ სრულყოფილად შეძლოს ფუნქციონირება და სასწავლო პროცესი არ შეიზღუდოს ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ **(01.09.2026 წ.)** პერიოდამდე ყველა თანამშრომლისთვის უზრუნველყოს ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების მოპოვება.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის*	1. *სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ **(30.12.2026წ)** პერიოდამდე უზრუნველყოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან დაკავშირებული დადებითი დასკვნის მოპოვება.* 2. *სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ თარიღამდე**(01.09.2026-წლამდე)** უზრუნველყოს გაისუბნის საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შეფასების დადებითი დასკვნის მოპოვება.*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამ ინფრასტრუქტურასა და მატერიალუ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადი და დადგენილი მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინები*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(09.02.2028 წლამდე) უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიისა და გიბლიოთეკისთვის განსაზღრული სივრცეების აღდგენა და საჭირო ინვენტარითა და რესურსებით აღჭურვა.*
3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს*	*შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში - **15.04.2028**-წლამდე, სკოლამ შენობის ინფრასტრუქტურის ფარგლებში უზრუნველყოს ინკლუზიურ გარემო (პანდუსის ან/და ლიფტის მოწყობა) შენობის მეორე და მესამე სართულებისთვის.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N. 2.2.2.3	*საბაზო და საშუალო საფეხურ საგანმანათლებლო პროგრამები*	*შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში-**15.09.2027** -წლამდე უზრუნველყ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვრული ფართ რეაბილიტაცია და სტანდარტების შესაბამისად მოწყობა/აღჭურვა.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*

ინდიკატორი N.1.2.1.1.	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინოს საზოგადოების ძირითადი პრიორიტეტული საკითხები , ინტერესები , საჭიროებები და შესაბამისად განსაზღვროს სამოქმედო მიზნებ და ამოცანები.*
ინდიკატორი 1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*მნიშვნელოვანია, სკოლამ გაითვალისწინოს, ავტორიზაციის პროცესში, შესაბამისობის გეგმით, ვადებში გაწერილი ნაკისრი ვალდებულებები, გამოჰყოს ძირითადი და განსახორციელებლად ყველაზე მნიშვნელოვანი, სკოლის ფინანსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში ერთწლიან ვადაში დაძლევადი ამოცანები და შესაბამისად გაწეროს ახალი სასწავლო გეგმა.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციებ მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლამ სტრუქტურის ორგანიგრამაში შეიყვანოს მანდატურის სამსახური და სპეც-მასწავლებლები.*
ინდიკატორი N 3.6.2.1.	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობ შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*მნიშვნელოვანია, სკოლამ საქმისწარმოების წესში სკოლის ფაქტობრივ მისამართი და ოფიციალური ელექტრონული მისამართი მიუთითოს სწორად*
ინდიკატორი 3.6.3.1.	*სკოლა ახორციელებს საზოგადოებ ინფორმირებას და კომუნიკაცი ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდ შესაბამისი გვერდისა და სხ საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*უმჯობესია, რომ სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს საზოგადოებასთ კომუნიკაციის ერთიანი დოკუმენტი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი N.4.1.2.3	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცი საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*სასურველია, სკოლის შინაგანაწესი გამოკრული იყოს თვალსჩინო ადგილას.*
ინდიკატორი N4.2.1.5.	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობები წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას*	*სასურველია, გაძლიერდეს არაფორმალური განათლება, კერძოდ კლუბური მუშაობა, სადაც მოსწავლეები განახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს დ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკურად ზეირბარჯანელი ბავშვების კომუნიკაციის გაღრმავებას ქართველ ბავშვებთან და უზრუნველყოფს ქართული ენის უკეთ შესწავლას.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	**რჩევა**
ინდიკატორი **2.1.2.1.**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	*მნიშვნელოვანია, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა მე-3 კლასის არსებულ კომპლექსურ დავალებებს დაამატონ 1-2 კრიტერიუმი, რათა მათში ინტეგრირდეს გამოტოვებული სამიზნე ცნებები.* • *მე-10 კლასის ქიმიის (და საჭიროების შემთხვევაში სხვა საგნების) შეფასების ნაწილში, არსებული „სოლო“ ტაქსონომიის დონეები თავსებადი გახდეს ესგ-ს ფუნქციურ კომპონენტებთან (შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან), რათა შეფასება პირდაპირ პასუხობდეს სამიზნე ცნების ინდიკატორებს.* • *ვინაიდან საგაზო/საშუალო საფეხურზე და მე-5, მე-6 კლასებში სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, მიზანშეწონილია უფროსმა და გამოცდილმა კოლეგებმა გაუწიონ მეთოდური კონსულტაცია დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მატრიცების დახვეწაში.*

ინდიკატორი **2.1.2.1.**	უცხოური ენები	***1. აქტივობების აღწერის დეტალიზაცია*** *კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობების ფორმულირება ხშირ შემთხვევაში ზოგადი და არასაკმარისად კონკრეტულია, რაც ართულებს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის ორიენტირებას დავალების შესრულებისას. მაგალითად, მეხუთე კლასის კურიკულუმში ვკითხულობთ „მოამზადე პროექტი შინაური ცხოველის შესახებ" რაც ბუნდოვნად გადმოსცემს დავალების მოთხოვნებს. სასურველია, აქტივობების აღწერაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული:* ● *პროექტის ფორმატი: პრეზენტაცია, ნახატი, ზეპირი მოხსენება, მოდელი, პლაკატი და სხვა;* ● *მოცულობა და სტრუქტურა: მაგალითად, რამდენი სლაიდი, რამდენი პუნქტი, რა ელემენტები უნდა შეიცავდეს;* ● *განხორციელების პირობები: ინდივიდუალური თუ ჯგუფური, საკლასო თუ სახლის დავალება.* *ეს ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის დავალებების სიცხადეს და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითდამოუკიდებლობის განვითარებას.* ***2. „კონტექსტ მაგალითის" გრაფის შინაარსობრივი გადახედვა*** *ამჟამად „კონტექსტ მაგალითის" გრაფაში მოცემულია გაკვეთილის თემატიკა და შესასწავლი საკითხების ჩამონათვალი, რაც არ შეესაბამება ამ გრაფის დანიშნულებას. კონტექსტ მაგალითი, თავისი არსით, უნდა წარმოადგენდეს კონკრეტულ, ნათელ ილუსტრაციას, ანუ პრაქტიკულ სიტუაციას, ნიმუშს ან მაგალითს, რომელზეც დაყრდნობით მოსწავლე გაიაზრებს და შეასრულებს შესაბამის აქტივობას.* *სასურველია, სკოლამ ამ გრაფაში განათავსოს:*

		• ***კონკრეტული ტექსტობრივი, ვიზუალური ან სიტუაციური მაგალითები***, *რომლებსაც მოსწავლე გამოიყენებს სახელმძღვანელოდ;* • ***სრულყოფილად შესრულებული დავალებების ნიმუშები***, *რათა მოსწავლეს ჰქონდეს მიზნობრივი ორიენტირი* • ***რეალური კონტექსტიდან მოყვანილი მაგალითები***, *რომლებიც დაუკავშირებს სასწავლო შინაარსს ყოველდღიურ გამოცდილებასთან.*
ინდიკატორი **2.1.2.1.**	სახელმწიფო ენა	*ა)საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ჯამური საათობრივი დატვირთვა გადაიტანეთ თავფურცელში წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვის სახით;* *ბ)კარგი იქნება, თუ დაწყებით და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერთ რაოდენობრივად რეალურად განსახორციელებელ და შესასრულებელ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს.*
ინდიკატორი **2.1.2.1.**	მათემატიკა	*სასურველია, თემების დასახელებისას გამოიყენოთ მესამე თაობის ესგ,* *რაც კურიკულუმებს აკადემიურობას შესძენს და, ასევე, მეტი ყურად-* *ღება დაეთმოს სტრუქტურული ერთეულების ერთმანეთთან შესაბამისობას.*
ინდიკატორი **2.1.2.2.**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგმა გადაიტანოს საკითხები შესაბამის სვეტში და გრძელვადიან მიზნებად მიუთითოს ესგ-ს სავალდებულო სამიზნე ცნებები.*

		• ***ქიმიის მატრიცის შევსება:*** *საბაზო საფეხურის ქიმიის მასწავლებელმა პერიოდულობის სისტემის თემასთან მიმართებით მიზნების ჩამონათვალში ოფიციალურად დაამატოს ცნება — „ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი“.* • *ფიზიკის პედაგოგებმა კურიკულუმში არსებული ცნებები შეადარონ 2023 წელს დამტკიცებულ ესგ-ს და მოახდინონ ტერმინოლოგიის უმცირესი კორექტირება ახალი რედაქციის მიხედვით.*
ინდიკატორი N **2.1.2.2.**	საზოგადოებრივი მეცნიერებები	***დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური*** 1. *მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები.* 2. *სასურველია, კურიკულუმში მოცემულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს (კომპლექსური დავალების) დანართის სახით, თან ახლდეს მათი განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუქციები, შეფასების კრიტერიუმები, რესურსები და აქტივობების აღწერა.* 3. *სასურველია, კომპლექსური დავალებები მეტად შეესაბამებოდეს საკითხის შინაარსს და მკაფიოდ იკვეთებოდეს მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი, მაგალითად, მე-9 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში საკითხთან — „ადამიანური განვითარების ინდექსი საქართველოში“ - მიმართებით, კომპლექსური დავალება მხოლოდ „კონტექსტ-მაგალითის განხილვითა“ და „საერთო საკლასო მსჯელობით“ შემოიფარგლება, რაც ნაკლებად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის სიღრმისეულად გააზრებასა და პრაქტიკულ გამოყენებას. მიზანშეწონილია, დავალება მოიცავდეს კონკრეტულ შემოქმედებით ან კვლევით პროდუქტს (მაგ., პრეზენტაცია, ინფოგრაფიკა, შედარებითი ანალიზი, კვლევა და სხვა).*

		4. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. მაგალითად, საგნების ნაწილი იწყება სამიზნე ცნების გრაფით, ნაწილი - სასწავლო თემით; კურიკულუმების ნაწილს აქვს გრაფა „სამიზნე ცნება", ნაწილს - ‚სამიზნე ცნება/ქვეცნებები/ ქვესაკითხები"; ასევე, განსხვავებულად არის მითითებული შუალედური მიზნები: დავალების იდეა/მიზანი, კომპლექსური დავალების იდეა, დავალების იდეა/პირობა (შუალედური მიზანი). ***საშუალო საფეხური:*** *5. სასურველია, მე-10 კლასის საქართველოს ისტორიისა, ასევე, მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები მეტად თანხვედრაში მოვიდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორიის საგნობრივ სტანდარტთან, განსაკუთრებით თემებისა და საკითხების შესაბამისობის მიმართულებით.*
ინდიკატორი N **2.1.2.2.**	სახელმწიფო ენა	*სასურველია, კურიკულუმში გაწერილ შემოქმედებით დავალებებთან მიმართებით გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები.*
ინდიკატორი N **2.1.2.2.**	მათემატიკა	*სასურველია, დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასისთვის წარმოდგენილი კურიკულუმის ყოველი კომპონენტი, მათ შორის ქვეცნებები, წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.*
ინდიკატორი N **2.1.2.2.**	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სასურველია, კათედრამ, ქართული ენის საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; საკითხი და*

		დავალების იდეა ერთსა და იმავეს წარმოადგენს, ასევე, საკითხთა კლასტერი და მაგალითები შედარებისთვის არ არის საჭირო. *ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით კურიკულუმებში სწორად აისახოს სახელმძღვანელოს ავტორები. ესგ–ს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებები დაზუსტდეს, თითოეულ თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება.* *მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით, თემები და საკითხები დაზუსტდეს კლასების მიხედვით, საათების რაოდენობა, უმჯობესია, თემასთან განისაზღვროს, ვიდრე, დავალების იდეასთან.* *სასურველია, კურიკულუმებს თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.* *სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.*
ინდიკატორი N **2.1.2.3.**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ მოამზადოს ერთი მოკლე საინფორმაციო ფურცელი/ცხრილი, სადაც თავმოყრილი იქნება საფეხურების მიხედვით გამოყენებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს ზუსტი დასახელება და ავტორთა შემადგენლობა.* • *მე-4 კლასის პედაგოგმა კიდევ ერთხელ გადაამოწმოს და კურიკულუმის ძირითად ჩარჩოში საბოლოოდ დატოვოს მხოლოდ იმ ავტორთა გუნდი, რომლის წიგნითაც რეალურად სარგებლობენ მოსწავლეები მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.*

ინდიკატორი N **2.1.2.3.**	საზოგადოებრივი მეცნიერებები	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური* 1. *სასურველია, კათედრის N1 ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რესურსების შერჩევის საფუძვლებს.* 2. *ჩვენი საქართველოს კურიკულუმში, რესუსრების გრაფაში მისათითებელია გრიფირებული სახელმძღვანელო, გვერდები და პარაგრაფები. ასევე, დამატებითი რესურსები.* 3. *მიზანშეწონილია, რომ არა მხოლოდ მოქალაქეობის, არამედ სხვა საგნების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმებში მითითებულ ელექტრონულ რესურსებს თან ახლდეს შესაბამისი დასახელება/აღწერა და არა მხოლოდ ბმული, რაც გაამარტივებს რესურსის შინაარსის იდენტიფიცირებასა და მის მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N **2.1.2.3.**	უცხოური ენები	1. ***დიფერენცირებული რესურსების ნაკლებობა*** *არსებული კურიკულუმები არ ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებულ დიფერენცირებულ რესურსებს. სასურველია, შესაბამისი დამატებითი მასალების ჩართვა კურიკულუმში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.* 2. ***რესურსების სპექტრის გაფართოება საბაზო და საშუალო საფეხურზე***

		საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მიზანშეწონილია გამოყენებული რესურსების მრავალფეროვნების გაზრდა. კერძოდ, რეკომენდებულია პრესის სტატიების, ონლაინ რესურსების, სამუშაო ფურცლებისა და ფლიპჩარტის ინტეგრირება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ავთენტური მასალების, მედიაზე, გარემოზე, სოციალურ ურთიერთობებზე შექმნილი რეალური ტექსტების, გამოყენებას, ვინაიდან ასეთი მასალები ამყარებს კავშირს სასწავლო პროცესსა და მოსწავლის ყოველდღიურ გამოცდილებას შორის, რაც არსებითად ზრდის სასწავლო მოტივაციას და აღრმავებს გააზრების დონეს. ეს მხოლოდ მე-12 კლასის კურიკულუმშია გათვალისწინებული. ***3. რესურსების სიმწირე ცალკეულ კლასებში*** *მეხუთე, მეცხრე და მეათე კლასების კურიკულუმებში მითითებულია მხოლოდ სახელმძღვანელო, როგორც ერთადერთი სასწავლო რესურსი. სხვა საფეხურებთან თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად სასურველია ამ კლასებშიც დაემატოს დამხმარე და გამამდიდრებელი მასალები.* ***4. მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების ასახვა კურიკულუმში*** *გასაუბრების პროცესში გამოვლინდა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ საკუთარი შექმნილ Flashcard-ებს, თუმცა ეს რესურსი კურიკულუმებში არ არის ასახული. ვინაიდან მოცემული მასალა სასწავლო პროცესში ეფექტიანობას ამტკიცებს, რეკომენდებულია მისი შეტანა კურიკულუმის რესურსების ნაწილში.*

ინდიკატორი N **2.1.2.3.**	სახელმწიფო ენა	*სასურველია,მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.*
ინდიკატორი N **2.1.2.3.**	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სასურველია, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმები გამდიდრდეს მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსებით.*
ინდიკატორი N **2.1.2.4**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *სსსმ მოსწავლეების ისგ გეგმებს თან დაერთოს მათ მიერ შესრულებული დიფერენცირებული/კომპლექსური დავალებების ნიმუშები (მოსწავლის პორტფოლიო), რათა თვალსაჩინო გახდეს მათი პროგრესის დინამიკა სასწავლო წლის განმავლობაში.*
ინდიკატორი N **2.1.2.4**	უცხოური ენები	1. *კურიკულუმებში არ არის პირდაპირ გაწერილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებული სტრატეგიები. ამასთანავე, არ არის გათვალისწინებული არც მაღალი აკადემიური პოტენციალის მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი გამაღრმავებელი დავალებები და არც სასწავლო სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის საჭირო დამხმარე სტრუქტურები. სასურველია ეს ყველაფერი დაემატოს კურიკულუმებშიც.* 2. *უნდა აღინიშნოს რომ გადმოგზავნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ღიად არის მითითებული მოსწავლეთა სახელები და გვარები, რაც წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების უხეშ დარღვევას. მოსწავლის*

		შესახებ მგრძნობიარე სასწავლო ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია და მისი გაზიარება მესამე მხარესთან დასაშვებია მხოლოდ მოსწავლის პირადობის სრული ანონიმიზაციის პირობებში. სასურველია, სკოლამ დაუყოვნებლივ გადახედოს პერსონალური მონაცემების გაზიარების პრაქტიკას და მომავალში ნებისმიერი დოკუმენტაციის გადაგზავნისას უზრუნველყოს მოსწავლეთა საიდენტიფიკაციო მონაცემების (სახელი და გვარით იყო ამ შემთხვევაში ფაილი დასახელებული) წინასწარი ამოღება ან დაფარვა.
ინდიკატორი N **2.1.2.5**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• ***დაწყებითი საფეხურის რუბრიკების ტრანსფორმაცია:*** *რეკომენდებულია ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა მე-3 და მე-4 კლასის კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ დაუკავშირონ ესგ-ს სამიზნე ცნებების სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (აქტივობის შეფასებიდან გადავიდნენ ცნების გაგების შეფასებაზე).* • *დაწყებითი კლასების შემოქმედებით ბარათებსა და რუბრიკებში ყოველი ახალი თემის დაწყებისას მკაფიოდ მიეთითოს შესაბამისი თემის დასახელება დოკუმენტური სისრულისთვის.* • *კათედრამ მოაწყოს მოკლე სამუშაო შეხვედრა, სადაც უფროსი კლასების პედაგოგები, რომლებსაც შეფასების სისტემა სამიზნე ცნებებზე აქვთ მიმართული, დაეხმარებიან დაწყებითი საფეხურის კოლეგებს რუბრიკების დახვეწაში.*
ინდიკატორი N **2.1.2.5**	საზოგადოებრივი მეცნიერებებიწ	***დაწყებითი საფეხური:*** 1. *მიზანშეწონილია, საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს (მე-5 კლასის პირველი სემესტრის ფარგლებში) კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*

		2. სასურველია, საგანში ჩვენი საქართველო მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, თითოეულ თემაში შესასწავლ საკითხთან მიმართებით შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N **2.1.2.5**	უცხოური ენები	*სასურველია კრიტერიუმები გახდეს უფრო გაზომვადი და კონკრეტული. მაგალითად:* • *კითხვის კრიტერიუმს დაემატოს დამხმარე კითხვების ტიპები, რომლებზე პასუხიც ამოწმებს გაგების სხვადასხვა დონეს;* • *წერაში „ლექსიკის მრავალფეროვნება" შეიძლება დაკონკრეტდეს — მაგალითად, სინონიმების გამოყენება, თემატური ლექსიკის ადეკვატური გამოყენება;* • *საუბრის კრიტერიუმებს დაემატოს პაუზების სიხშირის ან ხანგრძლივობის კონკრეტული ინდიკატორები.* *მნიშვნელოვანია, რომ მაღალი დონის — კარგი (4) — კრიტერიუმები გასცდეს მხოლოდ სიზუსტისა და სისრულის შეფასებას და მოიცვას უმაღლესი კოგნიტური უნარების ინდიკატორებიც. კერძოდ, სასურველია მაღალ დონეს დაემატოს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: ტექსტის კრიტიკული გაანალიზება და საკუთარი დასკვნების გამოტანა, ავტორის პოზიციის შეფასება და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრების ჩამოყალიბება, სხვადასხვა ტექსტსა თუ იდეას შორის კავშირების დამოუკიდებლად დადგენა, აგრეთვე შეძენილი ცოდნის ახალ, უცნობ სიტუაციებში გადატანისა და გამოყენების უნარი. ეს მიდგომა შეესაბამება ბლუმის ტაქსონომიის უმაღლეს საფეხურებს, ანალიზს, შეფასებასა და შექმნას, და უზრუნველყოფს, რომ შეფასება მხოლოდ დამახსოვრებისა და გაგების*

		გაზომვით არ შემოიფარგლოს, არამედ წაახალისოს მოსწავლეთა ღრმა, კრიტიკული აზროვნების განვითარება.
ინდიკატორი N **2.1.2.5**	სახელმწიფო ენა	*შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელეთ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით და ჩამოაყალიბეთ კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით მიზნები,მისაღწევი შედეგები და კრიტერიუმიდან გამომდინარე დაკონკრეტებული მოლოდინები.*
ინდიკატორი N **2.1.2.5**	მათემატიკა	*სკოლის მიერ წარმოდგენილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს აკლია აკადემიურობა, რაც გულისხმობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რუბრიკების გამოყენებას, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები.*
ინდიკატორი N **2.1.2.5**	ტექნოლოგიები	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც კრიტერიუმები სტრუქტურირებული იქნება უშუალოდ საგნობრივი სამიზნე ცნებების (მაგ.: „ინფორმაცია“, „(ალგორითმი) პროგრამული კოდი“) გარშემო და არა იზოლირებული ტექნიკური ელემენტების (ვიზუალი, ფონი, ფორმატირება) მიხედვით. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოსწავლის კოგნიტური განვითარების დონეების შინაარსობრივ ასახვას და ცოდნის სამივე კატეგორიის - დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის - სრულფასოვან რეალიზებას.*

ინდიკატორი N **2.1.2.5**	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სასურველია, კურიკულუმებს, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N **2.2.1.1.**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *სასურველია, ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში შემუშავებული მოდელი (მაგალითად, სეპარირების ან გარემოს მოვლის კუთხით) სკოლამ აქციოს ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების მუდმივ ტრადიციად და პრაქტიკად.* • *არსებული მდიდარი ფოტო-ვიდეო მასალის ბაზაზე, მოსწავლეების ჩართულობით, შესაძლებელია შეიქმნას მოკლე ელექტრონული ჟურნალი ან სკოლის ეკო-ბლოგი, რაც კიდევ უფრო აამაღლებს სკოლის ავტორიტეტსა და პოპულარიზაციას რეგიონში.*
ინდიკატორი N **2.2.1.1.**	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.*
ინდიკატორი N **2.2.1.1.**	უცხოური ენები	*სანდოობის გასაზრდელად რეკომენდებულია ნიმუშების ე.წ. anchor papers-ის შემუშავება, რომლებიც თითოეული დონის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს. ეს არის კონკრეტული, რეალური ნამუშევრები, წერილობითი დავალება, ჩაწერილი პრეზენტაცია, ან შევსებული სავარჯიშო, რომლებზეც მასწავლებლები წინასწარ შეთანხმდნენ და დაადასტურეს: „სწორედ ეს ნამუშევარი შეესაბამება მე-4 დონეს", „სწორედ ეს — მე-3 დონეს" და ა.შ. შედეგად, ყოველ ახალ ნამუშევარს*

		მასწავლებელი ამ ეტალონებს ადარებს და არა საკუთარ სუბიექტურ წარმოდგენას. *ობიექტურობის კუთხით შეფასების სისტემა საჭიროებს გაძლიერებას. საუბრის კრიტერიუმების ნაწილი დიდწილად მასწავლებლის სუბიექტურ განსჯაზეა დამოკიდებული რადგან შეფასების ფორმებში არ არის მოცემული საუბრისკონკრეტულად გაზომვადი ინდიკატორები, თუმცა გასაუბრების დროს მასწვალებლებმა კარგად განმარტეს ეს.* *სასურველია მიეთითოს რომ საუბრის შეფასებისას გაზომვადი ინდიკატორები, მაგალითად, წუთში წარმოთქმული სიტყვების რაოდენობა, პაუზების ხანგრძლივობა ან კონკრეტული გრამატიკული კონსტრუქციების სწორი გამოყენების სიხშირე. ობიექტურობის ამაღლებისთვის სასურველია შეფასების რუბრიკების კიდევ უფრო დეტალიზება და გაზომვადი ინდიკატორებით გამდიდრება.*
ინდიკატორი N **2.2.1.1.**	მათემატიკა	*სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს.*
ინდიკატორი N **2.2.1.1.**	ტექნოლოგიები	*სასურველია სკოლამ პრაქტიკაში დანერგოს მრავალმხრივი, განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, სადაც ტექნიკური და დიზაინერული უნარები (ფონი, გრაფიკა, ფორმატირება) ინტეგრირებული იქნება ფუნქციურ მიზნებთან.*

ინდიკატორი N **2.2.2.1.**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *მიზანშეწონილია კათედრის მიერ მიკროქიმიური მეთოდებისა და უსაფრთხო სადემონსტრაციო ცდების აღწერილობების ფორმატში მოყვანა და მათი ასახვა კურიკულუმის დანართის სახით, შიდა სასკოლო პრაქტიკის სტანდარტიზაციისთვის.* • *მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულ აღდგენამდე, პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად რეკომენდებულია საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე ინტერაქციული ვირტუალური ლაბორატორიებისა და სიმულაციური პროგრამების (მაგ. PhET Simulations) უფრო ინტენსიური ინტეგრირება.* • *საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ მოამზადოს ერთი მოკლე საინფორმაციო ფურცელი/ცხრილი, სადაც თავმოყრილი იქნება საფეხურების მიხედვით გამოყენებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს ზუსტი დასახელება და ავტორთა შემადგენლობა.*
ინდიკატორი N **2.2.2.1.**	უცხოური ენები	***მასწავლებლის მიერ შექმნილი მასალების დამატება*** *კარგი იქნება თუ კურიკულუმში გამოჩნდება, რომ მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში თავადაც ქმნის დამხმარე მასალებს, სამუშაო ფურცლებს, ვიზუალურ დამხმარეებს და სხვა, რაც მხოლოდ მე-12 კლასის კურიკულუმსი არის გათვალისწინებული.*
ინდიკატორი N **2.2.2.1.**	ესთეტიკური აღზრდა	*სასურველია, სკოლამ გააძლიეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც შემოქმედებითი საქმიანობის კიდევ უფრო მრავალფეროვან განვითარებას შეუწყობს ხელს.*

ინდიკატორი N **2.2.2.1.**	მათემატიკა	*სასურველია, კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს მოცემული საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას.*
ინდიკატორი N **2.2.2.1.**	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*სასურველია, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსები.*
ინდიკატორი N **2.2.2.2**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ შეიმუშაოს და ოფიციალურად დაამტკიცოს საფეხურებისა და კლასების მიხედვით გამოყენებული ყველა ძირითადი (გრიფირებული) და დამხმარე სახელმძღვანელოს/მასალის ერთიანი ნუსხა.* • *სასურველია, რომ კურიკულუმების საბოლოო ვერსიების დამტკიცებამდე, კათედრის თავმჯდომარემ უზრუნველყოს დოკუმენტში მითითებული ავტორების იდენტურობა რეალურად გამოყენებულ სასწავლო რესურსებთან, რათა გამოირიცხოს მონაცემთა შეუსაბამობა სამუშაო ვერსიებში.*
ინდიკატორი N **2.2.2.2**	ტექნოლოგიები	*სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებული ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც გაწერილია სკოლის 2026-2033 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში და ასევე სკოლის 2026-2027 წლების სასწავლო გეგმაში.

სკოლის მისია მოიცავს შემდეგს: მოსწავლეზე ორიენტირებულ, პოზიტიურ სასწავლო გარემოში ფორმალური და არაფორმალური განათლების ორგანული შერწყმით, აღვზარდოთ ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები.

ხედვა :

სკოლა უახლოესი ათწლეულის განმავლობაში შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების, სტრატეგიებისა და მიდგომების შერწყმით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ მსოფლიო შრომით ბაზარზე.

ღირებულებები: თანამშრომლობა; გუნდურობა; გამჭირვალობა; დემოკრატია; ობიექტურობა; განვითარება; ინოვაციურობა;

მისია და ხედვა სრულად გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან და სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

1.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით ასევე მრავალწლიანი გამოცდილებით და სკოლის ძირითად დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას, მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისთვის. სკოლა

უზრუნველყოფს კვალიფიციური პედაგოგების, მოსწავლეთა და მშობელთა თანამშრომლობით სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხს და შესაძლებლობების ფარგლებში, ხელს შეუწყობს მოსწავლეების მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები სრულად გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან, რითაც იგი განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო , ასევე პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე.

1.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში ჩატარებული გასაუბრებებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით დაადასტურა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. პროცესში ჩართული იყო მასწავლებლების, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისა და მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი. ფაქტობრივი მტკიცებულებაა შეხვედრების ოქმები. აღნიშნული საკითხი ასევე მტკიცდება 2026 წლის 11 თებერვლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით N1.

1.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მოქმედი მისიისა და ხედვის გაზიარება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს სხდომებზე ძირითადი დოკუმენტების დამტკიცების პროცესში და ასევე კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის სკოლის მისიის შემუშავების პროცესში ჩართვას. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები, სადაც ასახულია ინფორმაცია თუ როგორ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ პროცესებში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და მასწავლებლები.

1.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილია სკოლის სხვადასხვა ძირითად დოკუმენტში. განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობას. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

1.1.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

1.1.1.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნა ბრძანებაN2-09 11.02.2026წ

2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;

3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;

4. Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის პრიორიტეტები .
სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად უნდა შემუშავდეს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შექმნილია და ბრძანებითაა დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც გეგმავს , კოორდინაციას უწევს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და უზრუნველყოფს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციას.
უნდა აღინიშნოს, რომ ბაისუბნის საჯარო სკოლა კახეთის რეგიონის , კონკრეტულად კი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლის სკოლაა. მოსწავლეთა თითქმის ნახევარი ეთნიკურად აზერბაიჯანელია. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ენობრივ ბარიერთან დაკავსირებული პრობლემური საკითხები. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეების უმეტესობა ქართულად ცუდად მეტყველებს, ნაწილმა კი საერთოდ არ იცის ქართული (სკოლაში ახალი დარეგისტრირებული ბავშვები) და შესწავლის პროცესშია. რადგან მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლაში ისევ თავის მშობლიურ ენაზე საუბრობს, ეს პროცესი ართულებს ენის შესწავლას. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საჭიროება გეგმაში არ არის გათვალისწინებული და გაწერილი.
შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა:** *მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინოს საზოგადოების ძირითადი პრიორიტეტული საკითხები , ინტერესები , საჭიროებები და შესაბამისად განსაზღვროს სამოქმედო მიზნები და ამოცანები.*

1.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით და შესაბამისობაში არის სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია და მოიცავს 2026 წლის სექტემბრიდან 2033 წლის სექტემბრამდე პერიოდს. მასში მოცემულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები,

ამოცანების ინდიკატორები და აქტივობები გაწერილია შვიდწლიან პერიოდზე. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის გადახედვა ხდება საჭიროებისამებრ.

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2025-2026 საასწავლო წლიდან 2032 წლის ჩათვლით იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

1.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო ერთწლიანი გეგმა (2026-2027 წ.წ) სრულ შესაბამისობაშია სკოლის განვითარების შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან. გეგმა უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების წლიურ ჭრილში განხორციელებას. შესაბამისად იმისათვის, რომ სკოლამ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, ერთწლიანი გეგმით გაწერილი საკითხები პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული გეგმით. შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით.

1.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმა მკაფიოდ განსაზღვრავს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ამოცანებსა და აქტივობებს, ასევე მათ შესრულებაზე ორიენტირებულ გაზომვად ინდიკატორებს, განხორციელების რეალისტურ ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა

და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. გეგმით გათვალისწინებული რესურსები ადეკვატურია და მათი უზრუნველყოფა პრაქტიკულად განხორციელებადია.

სკოლას მიეცა **რჩევა**: *მნიშვნელოვანია, სკოლამ გაითვალისწინოს, ავტორიზაციის პროცესში, შესაბამისობის გეგმით, ვადებში გაწერილი ნაკისრი ვალდებულებები, გამოჰყოს ძირითადი და განსახორციელებლად ყველაზე მნიშვნელოვანი, სკოლის ფინანსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში ერთწლიან ვადაში დაძლევადი ამოცანები და შესაბამისად გაწეროს ახალი სასწავლო გეგმა.*

1.2.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2026-27დან 2032-33მდე წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
2. *2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
3. *სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
4. *შესაბამისობის გეგმა*
5. *სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები-ცალკე დოკუმენტის სახით*
6. *სამეურვეო საბჭოს ოქმი N8*
7. *სამეურვეო საბჭოს ოქმი N1*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მეთოდოლოგია ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად გააკონტროლებს. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სკოლას მეთოდოლოგიით დადგენილი აქვს სქემა, რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების

ანალიზს. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

მეთოდოლოგიური დოკუმენტისXII თავის მიხედვით : სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ -ივნისში საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს.

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

სკოლას მეთოდოლოგიურ დოკუმენტში სქემების სახითა აქვს წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების პროცესების თანმიმდევრულობა და მასში ჩართული სტრუქტურული ერთეულები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

1.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **1.2.2.2 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **1.2.2.3 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **1.2.2.4 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2026-2033წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
2. *2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
3. *სტრატეგიული გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
4. *სამეურვეო საბჭოს ოქმი N8*
5. *სამეურვეო საბჭოს ოქმი N1*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, ესენია: 1. სახელმწიფო ენის კათედრა; 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, 3. დაწყებითი საფეხურის კათედრა; 4. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; 5. უცხო ენათა კათედრა; 6.მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა; 7. ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. დაწესებულებაში დადგენილია სკოლის სტრუქტურა. სკოლას აქვს საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე,

ბუღალტერი, საქმისწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 2 სპეციალური მასწავლებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. მასწავლებლებისთვის/სპეციალური მასწავლებლებისთვის სკოლა ეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს **N174/ნ ბრძანებით** დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს მხოლოდ უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლებლები, რომლებთანაც გაფორმებული აქვს უვადო შრომითი ხელშეკრულება, რის მიხედვითაც დადგენილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის სტრუქტურის ორგანიგრამაში არ არის შეტანილი მანდატურის სამსახური და სპეც-მასწავლებლები.
სკოლას მიეცა **რჩევა**: *სკოლის სტრუქტურის ორგანიგრამაში შეიყვანოს მანდატურის სამსახური და სპეც მასწავლებლები.*
შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. აგრეთვე მასწავლებლების ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით

3.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 14 მაისის **N2-45** ბრძანებით დამტკიცებულია „ სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტი“-ში აღწერილია ანგარიშვალდებულებები და ფუნქციები, რომლებიც ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია მატერიალური ხელშეკრულებები, რომლითაც თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციებია დადგენილი, დოკუმენტი განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს. სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

3.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის სტრუქტურა;*
2. *საშტატო განრიგი;*
3. *გაფორმებული ხელშეკრულებები;*
4. *თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'', რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა, დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვა. დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივ აქტებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.
სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე განაცხადით. სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები.

3.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარი

უფლებამოსილების ფარგლებში მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლას შეუძლია რისკების მართვა და ფუნქციების სხვაზე დელეგირება - მასწავლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით.

შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; სამუშაო ადგილი; სამუშაო დროის აღრიცხვა; სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემა; ზეგანაკვეთური სამუშაო. სკოლაში ჩაცმულობის წესი; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა,

2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

დაწესებულებაში სკოლის მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, ''საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების'' შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სკოლაში სრულად არ არის წარმოდგენილი ყველა თანამშრომლის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი. ტექნიკური პერსონალს არ ჰქონდათ ყველა სავალდებულო ცნობა, რის გამოც ექსპერტთა მხრიდან გაიწერა **<u>ხარვეზი:</u>** *სკოლაში სრულად არ არის წარმოდგენილი ყველა თანამშრომლის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი.*

სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდგომ, ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა ***რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ (01.09.2026 წ.) პერიოდამდე ყველა***

თანამშრომლისთვის უზრუნველყოს ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების მოპოვება.

3.1.2.3.ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 35 თანამშრომელი, რომელთაგან 28 უფროსი მასწავლებელია. სკოლის ექთანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/. სპეციალურ მასწავლებლებთან გაფორმებულია უფროსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. გარდა ხელშეკრულებისა, თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია ყველა თანამშრომლის მინიმალური კვალიფიკაცია და კონკურსის წესშიც არის ასახული კონკრეტული პოზიციისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

3.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები (მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო) იყენებენ თანამშრომლობით პრინციპებს. სტრუქტურული ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს. ასევე, სკოლაში შექმნილია თიმსისა და სოციალური ქსელის (facebook) ჯგუფები, სადაც კოლეგებს შორის ინტენსიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციის, დამხმარე რესურსების გაზიარება.

3.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, განსაზღვრული არის სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა, რომელიც თავის საქმიანობაში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს და დასტურდება მათი თანამშრომლობა და აქტიურობა.

3.1.2.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;*
2. *საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;*
3. *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
4. *შრომითი ხელშეკრულებები;*
5. *Eschool-ის ბაზის მონაცემები;*
6. *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ამოცანაა, სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების

შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით; სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვასკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით. სკოლა ახორციელებს: თვითშეფასებას; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასებას; კრიტიკული შემთხვევების შეფასებას; გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასებას; სამუშაო პროცესზე/სასწავლო პროცესზე დაკვირვებას.

3.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გასაუბრებით დადგინდა, რომ ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება პედაგოგთა საგაკვეთილო პროცესს. მოსმენილი გაკვეთილის შესახებ ჯგუფის წევრები აძლევენ პედაგოგს უკუკავშირს, უკუკავშირს განიხილავენ კათედრაზე, ითვალისწინებენ და გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავენ შემდეგ აქტივობებს. ხდება ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე; მასწავლებლებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოფები, რომლებსაც უზრუნველყოფს შიდა სასკოლო ადამიანური რესურსებით, ასევე - მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში, თავადაც გეგმავენ ინდივიდუალურად წარმატებული სპეციალისტების მოსმენას/გამოცდილების გაზიარებას. დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება ინსტიტუტის ფუნქციონირება.

3.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, დებულებები: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და შინაგანაწესი უზრუნველყოფს პერსონალის და მისი მოზიდვის მექანიზმებს; პერსონალის შერჩევას; სამუშაო აღწერილობებს; ორგანიზაციაში ადაპტაციას; პერსონალის შეფასებას; პერსონალის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით

გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობას; პროფესიულ განვითარებას; წახალისებას და დისციპლინური პასუხისმგებლობას; ახალი სქემის ამოქმედებისთანავე მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივირებულია, რომ კარიერული წინსვლისთვის სკოლის მხარდაჭერა გამოიყენოს.

3.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი, რაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, შინაგანაწესითა და სასკოლო კოლეგიალური კულტურით.

3.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით, კათედრების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის რესურსით. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

3.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
2. *სკოლის შინაგანაწესი;*
3. *ადხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა:*
4. *6.საინფორმაციო დაფის ფოტო;*
5. *7.შინაგანაწესი ამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ 2026 წლის 14 მაისის **N2-43** ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.დოკუმენტი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის გეგმას დანართის სახით, გარდა ამისა, განსაზღვრავს: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ბრძანებითაა განსაზღვრული.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესიულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ადასტურებს აღნიშნულ ინდიკატორს.

3.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ადმინისტრაცია აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. მართვის პროცესებში ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში(სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ-ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ეფუძნება საქმისწარმოების წესს. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი .

3.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული და 2026 წლის 18 თებერვლის დირექტორის ბრძანება N2-14-ით დამტკიცებული აქვს განცხადების/ საჩივრის წარდგენის, დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგების დადგენის წესის დოკუმენტი.

სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს გადაცდომას მასწავლებლის, მოსწავლის ან

სკოლის სხვა თანამშრომლის მხრიდან. პროცესები ასევე სკოლის შინაგანაწესითაც რეგულირდება, სადაც მოკლედ არის აღწერილი პროცედურები.
თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის, ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

3.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი; თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი; სკოლაში მუშაობენ მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები.
პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

3.3.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის შინაგანაწესი;*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
3. *დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი:*
4. *თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი.*
5. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
6. *სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;*

7. *სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.*
8. *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,*
9. *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა,*
10. *საქმისწარმოების წესი,*
11. *სკოლის შინაგანაწესი,*
12. *თანამდებობრივი ინსტრუქციები,*
13. *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი .*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე.

სკოლის მიერ შემუშავებული და 2026 წლის 18 მაისის დირექტორის ბრძანება N 2-51 -ით დამტკიცებულია დოკუმენტი - „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“ შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის ანალიზი და მომავალი საქმიანობების შედეგების შესაბამისი მიზნებით განსაზღვრა. ეს არხებია:

- მშობელთა კრებაზე ზოგადი მიმოხილვა(მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა სრული დაცვით);
- შეხვედრა Teams -ის ან Zoom-ის ონლაინ პლატფორმების საშუალებით;
- ელექტრონული ჟურნალის მეშუეობით;
- ყოველდღიური კომენტარები დაწყებითი საფეხურის ფარგლებში განმავითარებელი შეფასების ფორმატით;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები;
- ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი;

• სოციალური ქსელების მეშუეობით დახურულ ჯგუფებში.

3.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის წარმომადგენლები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

3.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
2. *სამეურვეო საბჭოს ოქმები;*
3. *დისციპლინური კომიტეტის ოქმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები, რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში.

დოკუმენტი მოიცავს: ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს; საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს; სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმებს.

სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. აქედან გამომდინარე უსაფრთხოების ნაწილში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით.

ამასთან სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას. სკოლის სამივე სართულზე და ეზოში მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას მანდატურთან ერთად. სკოლის პირველ სართულზე სასწავლო პროცესის პერიოდში აკონტროლებს შენობაში შემომსვლელ პირებს და აღრიცხავს სარეგისტრაციო ჟურნალში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი პირი.

სკოლას აქვს შემუშავებული და დირექტორის **ბრძანება N2-13**(16.02.2026)-ით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ არის შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან. სკოლამ შესაბამისობის გეგმით მოითხოვა პერიოდი 17.04.2027 წლამდე აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. შესაბამისობის გეგმაში სკოლას მითითებული აქვს, რომ შესაბამის სამსახურს გაუგზავნეს წერილი გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ მიიღო წერილი (MIA 9 26 01723995)საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, **შესაბამისობის გეგმით აღებული ვალდებულება სკოლას შესრულებული აქვს.**

სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა, რომელიც გამოკრულია სკოლის შენობის დერეფანში ყველა სართულზე.

რაც შეეხება შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ საკითხს, სკოლას შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან აქვს მიღებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი სკოლის შენობისთვის. აღნიშნული აქტებით, სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა **არ შეესაბამება** სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

აღნიშნულის გამო დასკვნის პროექტში ექსპერტების მხრიდან გაიწერა ხარვეზი, რომ *სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, რის გამოც სკოლას აქვს უარყოფითი დასკვნა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან.*

სკოლის მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციითა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ (30.12.2026წ) პერიოდამდე უზრუნველყოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობასთან დაკავშირებული დადებითი დასკვნის მოპოვება.

სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის დოკუმენტი. სკოლას შესაბამის უწყებასთან გაგზავნილი აქვს შენობის მდგრადობაზე შემოწმების მოთხოვნა და ელოდება პასუხს. აღნიშნული საკითხი შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქვს და დასრულების დრო მითითებულია 01.09.2026 . ამასთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა ***რეკომენდაცია:*** *სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ თარიღამდე(**01.09.2026-წლამდე**) უზრუნველყოს გაისუბნის საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შეფასების დადებითი დასკვნის მოპოვება.*

3.4.1.1 ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი, რომლის ვალდებულებაა პირველადი დახმარების აღმოჩენა. გადაუდებელ შემთხვევაში, იძახებს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადას (112-ში დარეკვით). სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი **№41/ნ/01-23/** ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. აგრეთვე, ექიმის ხელშეკრულებით, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტითა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით გაწერილია სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები. დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები სხვადასხვა სიტუაციებში. აქედან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

2.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ **№06/ნ**

ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია დარაჯი. სკოლას აგრეთვე შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

3.4.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. მანდატურის სამსახური ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, ჩართულნი არიან პროცესში სპეციალური მასწავლებლები, ასევე - საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

3.4.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 2 დამლაგებელი .დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია დიასახლისების სამუშაო ვალდებულებები, დასუფთავების გრაფიკი, სტილი და ხარისხის კონტროლის მექანიზმები. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლის მახლობლად განთავსებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ ნარჩენების ურნები. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავეს, ათავისუფლებენ ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათა.

3.4.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას აქვს 2025 წლის 25 მარტის დირექტორის **ბრძანება N2-19**-ით დამტკიცებული ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები'', სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. სკოლას ჰყავს განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რადგან სკოლა ამუშავებს დიდი რაოდენობითა და მოცულობით პერსონალურ მონაცემებს. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. სკოლას ჰყავს დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დოკუმენტით.

3.4.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის უცხო პირთათვის. საარქივო მასალები ინახება სკოლის არქივში, ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი.

3.4.1.7 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.8 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;*
2. *დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;*
3. *ექთანთან გაფორმებული ხელშკრულება;*
4. *პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.*

5. *საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმართვა (სახანძროზე);*
6. *საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმართვა (საგანგებოს შეთანხმება);*
7. *შესაბამისობის გეგმა*
8. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების ბრძანება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის საჯარო რეესტრის ამონაწერი მომზადებულია 2020 წლის (09/11) მდგომარეობით. შენობა არის სარეაბილიტაციო. ზოგიერთი კაბინეტი და საკლასო ოთახი სკოლის შესაძლებლობიდან გამომდინარე კოსმეტიკურად განახლებულია. პირველ სართულზე მოწესრიგებულია საპირფარეშო და სველი წერტილები, სპორტდარბაზი, პირველი კლასის ოთახი, სამედიცინო კაბინეტი და რესურსოთახი. 2026 წლის 6 თებერვალს სკოლაში მოხდა ხანძარი, რის შედეგადაც დაიწვა მთლიანად ერთი საკლასო ოთახი და ძლიერი დაკვამლიანების შედეგად დაზიანდა და ასევე პარალიზებული გახდა მთლიანობაში 5 საკლასო ოთახი. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, სკოლის ადმინისტრაცია იძულებული გახდა სასწავლო პროცესის

გასაგრძელებლად და გამოეყენებინა შემდეგი ოთახები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო და რესურს-ოთახი.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნულ კაბინეტებში ხორციელდება სასწავლო პროცესი, კაბინეტების მუშაობის წესიც შესაბამისია: კერძოდ, ბიბლიოთეკით სარგებლობა მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას შეუძლია გაკვეთილების დასრულების შემდეგ. სამასწავლებლოს ფუნქციას დროებით დირექტორის კაბინეტი ასრულებს. სპორტის კაბინეტში, კი დროებით განთავსდა რესურს-ოთახი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსდა კლასი. ისტის მასწავლებელი სარგებლობს პორტატული კომპიუტერებით და გაკვეთილებს ატარებს საკლასო ოთახებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა საკითხის მოგვარების პერიოდი 2028 წლის 9 თებერვლამდე.

სკოლის დაზუსტებული ფართობი 2026 წლის მდგომარეობით - 22975.00 კვ/მ-ია. პირველ სართულზე განთავსებულია: პანდუსი, 1 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, საპირფარეშო, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, სასადილო ოთახი, მტუკი-ს ოთახი, რესურსოთახი, დამლაგებლების ოთახი. (ხანძრის გამო პირველ სართულზე 1 საკლასო ოთახი დაკეტილია.)

მეორე სართულზე: 5 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახი, მანდატურის ოთახი. ამჟამად სკოლაში ირიცხება 267 მოსწავლე, მათ შორის 10 სსსმ მოსწავლე. შშმ მოსწავლე არ ჰყავთ. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას - 300 მოსწავლეს.

სკოლაში მომხდარი ხანძრის შედეგად დამწვარი და დაზიანებული საკლასო ოთახების გათვალისწინებით სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ მოითხოვა პერიოდი (09.02.2028-წლამდე) საბიბლიოთეკო და კომპიუტერული ლაბორატორიის სივრცეების მოსაწყობად. ექსპერტთა ვიზიტისას სკოლასში მოწყობილი იყო კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც შეზღუდულად მუშაობდა სკოლაში არსებული საკლასო სივრცეების ნაკლებობის გამო(კომპიუტერულ ლაბორატორიაში დროებით განთავსებული იყო კლასი). სკოლას მიეცა **<u>რეკომენდაცია:</u>** *სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(09.02.2028 წლამდე) უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკისთვის განსაზღრული სივრცეების აღდგენა და საჭირო ინვენტარითა და რესურსებით აღჭურვა.*

აქედან გამომდინარე, სკოლის მხრიდან ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად განისაზღვრა.

3.5.1.1.ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (ფოიე, დერეფანი, გამწვანებული ეზო) სხვა მოსწავლეებთან, ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლას შემუშავებული

აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი, თუმცა ამ ეტაპზე ლაბორატორიის მუშაობის წესი შეცვლილია, რადგან ხანძრის გამო კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია საკლასო ოთახი. ასევე შეცვლილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის მხოლოდ გაკვეთილების დასრულების შემდეგ. ექიმის კაბინეტი და რესურს ოთახი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის.

3.5.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში მომხდარი ხანძრის შედეგად სკოლას საკლასო ოთახების საჭიროების გამო მოუწია ბიბლიოთეკის სივრცის ათვისება და მასში საკლასო ოთახის განთავსება. ამის გამო სკოლაში ბიბლიოთეკა სრულყოფილად არ ფუნქციონირებს. წიგნები არ არის ანბანის წესით განთავსებული. სივრცის მოგების მიზით, წიგნები საკლასო ოთახის ერთ სივრცეშია დალაგებული, ხოლო დანარჩენ ნაწილში სწავლება მიმდინარეობს. სკოლა ელოდება შენობის დაზიანებული ფლიგელის რეაბილიტაციას, რომ აღადგინოს საბიბლიოთეკო სივრცე და უზრუნველყოს ბიბლიოთეკის სრულყოფილი სერვისის მიწოდება სასკოლო საზოგადოებისთვის.დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, მაგრამ აღნიშნული ზესით ფუნქციონირებას ხელი ეშლება დამდგარი ფაქტის გამო. ***სკოლას მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, აღნიშნული საკითხის მოგვარება ორწლიანი(09.02.26-09.02.28 წწ) ვადით აქვს განსაზღვრული.ამის გამო აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულად.***

3.5.1.3 ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ სკოლას მეორე და მესამე სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი ან/და მოძრავი პანდუსი არ აქვს. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. ვინაიდან რესურსოთახში განთავსდა საკლასო ოთახი, რესურსოთახი თავისი აღჭურვილობით, დროებით გადავიდა პირველ სართულზე არსებულ სპორტის კაბინეტში. სკოლაში სივრცეების გადანაწილება მოხდა საჭიროებებისა და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად ოპტიმალურად.

სკოლამ შესაბამისობის გეგმით აღნიშნული საკითხის მოგვარება, პანდუსის/ლიფტის დამონტაჟება ორწლიანი ვადით(20.04.2026-15.04.2028) გაწერა.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**: *შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში - 15.04.2028-წლამდე, სკოლამ შენობის ინფრასტრუქტურის ფარგლებში უზრუნველყოს ინკლუზიური გარემო (პანდუსის ან/და ლიფტის მოწყობა) შენობის მეორე და მესამე სართულებისთვის.*

3.5.1.4 ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს კიდევ უფრო უკეთეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები.

3.5.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ არის 5 პრინტერი, რომელსაც სასკოლო საზოგადოება იყენებს საჭიროებისამებრ. ასევე, სკოლას აქვს 2 პროექტორი, 4 პერსონალური კომპიუტერი და 42 ლეპტოპი. სკოლაში არსებული კომპიუტერები და ლეპტოპები, პრინტერები, პროექტორები განაწილებულია კათედრებზე, სკოლის დირექციასა და ადმინისტრაციაზე, სამასწავლებლოში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში, მანდატურების ოთახსა და რესურს ოთახში. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში, ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია პროექტორით და კომპიუტერით სარგებლობა. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს საკუთარი სამუშაო სივრცე. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

3.6.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

2026 წლის თებერვალში, სკოლაში მომხდარი ხაინძრის გამო, რამდენიმე საკლასო ოთახი გამოაკლდა სასწავლო პროცესს. სკოლას მოუწია ოპტიმალურად გადაენაწილებინა საგაკვეთილო პროცესი დარჩენილ , სამუშაო სივრცეში. ამის გამო, სკოლას მოუწია ერთ-ერთი კლასის საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის ოთახში დროებით შეყვანა მანამ, სანამ არ მოხდება ხანძრის შედეგად დაზიანებული ფლიგელის აღდგენა.

მართალია, კომპიუტერები, პროექტორი, დინამიკები გამართულია და სამუშაო პროცესშია მოცემულ საკლასო ოთახში, მაგრამ საინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად მაინც არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას 2026 წლის 18 თებერვლის დირექტორის **N2-16 ბრძანებით** დამტკიცებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლას მოუწია წესის შეცვლა და საჭიროებისამებრ მოდიფიცირება უშუალოდ პროცესში. სკოლამ 3.5.1.1.ინდიკატორის ნაწილში შესაბამისობის გეგმით გაწერა აღნიშნული პრობლემის მოგვარების პერიოდი(2026-2028).

მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორები და სხვა ტექნიკა, საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობისათვის.

3.6.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).*
2. *ინვენტარიზაციის ოქმი;*
3. *მიღება-ჩაბარების აქტები;*
4. *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს 2026 წლის 18 თებრევლის დირექტორის **ბრძანება N2-18**-ით დამტკიცებული კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან

დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის(eflow, eschool), დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას ელექტრონულად; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვა.

საქმისწარმოების წესში სკოლის მისამართი და ოფიციალური მეილი არასწორად არის მითითებული. სკოლას მიეცა **რჩევა**: *საქმისწარმოების წესში სკოლის ფაქტობრივი მისამართი და ოფიციალური ელექტრონული მისამართი მიუთითოს სწორად.*

3.6.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

3.6.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.

5.6.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ოგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების

და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

სკოლა ყოველწლიურად, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს".

5.6.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.*
2. *საქმისწარმოების წესი;*
3. *საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;*
4. *2025 წლის სკოლის ბიუჯეტი;*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლაში არსებობს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდის skolebi.emis.ge და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ.ფოსტას baisubani@mes.gov.ge . გვერდი და ელ-ფოსტა იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის მეორე სართულის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის სამუშაო გეგმა და დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები.

სკოლას არ წარმოუდგენია საზოგადოებასთან კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი, რაზედაც მიეცა **რჩევა**: *უმჯობესია, რომ სკოლამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთიანი დოკუმენტი.*

3.6.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებასა და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების შესახებ. ასევე, პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები ეცნობებათ მშობლებს დროულად. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი ან სატელეფონო კომუნიკაცია, დახურული ჯგუფები.

2.6.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი **3.6.3.3. ვერ იქნება შეფასებული;**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის ქართულ ენაზე, რადგან სკოლა არის ქართულენოვანი და საქმიანობა მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი (skolebi.emis.ge). სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე და იგი ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას.

3.6.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,**

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

დაწესებულების ვებ-გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033 წწ, სკოლის შინაგანაწესი და სხვა საჯარო დოკუმენტაცია.

3.6.3.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის ვებ-გვერდი;*
2. *მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;*
3. *სკოლის ფეისბუქ გვერდი*
4. *დამრიგებლობის დებულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. საჭირო რესურსების მისაღებად სკოლა მიმართავს შესაბამის ორგანოებს და უზრუნველყოფს სკოლის სრულ ფინანსურ უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება .

3.7.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.შესყიდვების სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ყოველი წლის 31 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის დირექტორი პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, ბუღალტრის, დირექტორის მოადგილის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

3.7.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;*
2. *ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;*
3. *დაფინანსების ანალიზის შედეგები;*
4. *სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესის დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება ასევე, სადამრიგებლო პროგრამებსა და სკოლის წესდებაში გაწერილი რეგულაციების მიხედვით; წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლა ვალდებულებად იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვას. ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებას.

4.1.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაცია მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის შესახებ გამჭვირვალეა და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებს,

მშობელთა ჩატებს მიიჩნევს. ასევე, სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი სადაც ხდება გაზიარება. გარდა ამისა, სკოლის კლასების დამრიგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. მოსწავლის უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგას დისციპლინური კომიტეტი, რომელიც კანონის ფარგლებში უზრუნველყობს სკოლაში არსებული ნებისმიერი წესის, კანონის დარღვევის განხილვისა და მსვლელობის პროცესს.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია.

4.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც წარმოდგენილია: ხელშეკრულების საგანი; ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, მხარეთა უფლება- მოვალეობები; სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები; განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი; დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა; მოცემული დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები, ცვლილებების შეტანის უფლებით;

4.1.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *მოსწავლის ქცევის კოდექსი;*
- *მშობელთა გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *დამრიგებლის ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე;*
- *მშობელთან ურთიერთობის დებულება;*
- *ხელშეკრულებები მშობლებთან;*
- *სადამრიგებლო პროგრამები;*
- *სოციალური ქსელი;*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს საფეხურის დაძლევის წესს; „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანება კი - მოსწავლის მობილობის წესს. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

4.1.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა შემუშავებული დოკუმენტისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ვადების დაცვით ახორციელებს და იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, დროულად ხდება მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირება.

4.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შინაგანაწესი არის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომისათვის განკუთვნილი სახდელები და წახალისების ფორმები. შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის უფლებები და პასუხისმგებლობები. მოსწავლეებთან მიმართებაში სკოლის შიდა პოლიტიკის რეგულაციები ამომწურავად არის მოცემული; მიდგომა არის არადისკრიმინაციული, დაცულია თანასწორობის პრინციპები. **რჩევა:** სასურველია, სკოლის შინაგანაწესი გამოკრული იყოს თვალსჩინო ადგილას.

სკოლას სხვადასხვა დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი წლის მანძილზე შესასრულებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევები, შედეგები და შესაბამის ქცევაზე რეაგირების ფორმები.

წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

4.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლას აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგების ეფექტიანი მექანიზმი. სკოლის დირექციის, მასწავლებლების, დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი და საკუთარი Facebooc გვერდი, სადაც შუქდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

4.1.2.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *მშობელთა თანხმობის ფორმა;*
- *მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების ბრძანება;*
- *მშობელთა კრებების ოქმები ;*
- *სოციალური ქსელი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას 2026 წლის 20 თებერვლის დირექტორის ბრძანება **N2-21** შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს რომ მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლის, სკოლაში შესვლის/გადასვლის პროცესი იყოს მაქსიმალურად უმტკივნეულო და მომზადებულად წარიმართოს სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; დეზადაპტაციის ნიშნების განსაზღვრას; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ ღონისძიებებს და მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პროცედურებს პირველ დღეებში.

4.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს საკლასო გარემოს მოწყობისას. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციას ხელს უწყობენ კლასის დამრიგებლები და მასწავლებლები. ამისათვის სკოლის დამრიგებლები და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შეხვედრებს მშობლებთან. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მერხებითა და სკამებით, პირველადი საჭიროების სივრცეებით: ექიმის კაბინეტი, სპორტ დარბაზი, რესურს ოთახი; სკოლა

ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, ტრადიციულად, სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რაც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს უქმნის შესაბამის განწყობას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

4.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის მასწავლებლები იყენებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, შემაჯამებელი დავალების ანალიზებს, დამრიგებლის სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს, განმავითარებელ შეფასებას და უკუკავშირს; ინდივიდუალურ შეხვედრებს მშობლებთან. სკოლა ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა უნარების განვითარებაზე, ამ მიზნით, მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც არის აღჭურვილი და ეძლევა საშუალება სსსმ მოსწავლეს, მიიღოს საჭირო მხარდაჭერა. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით.

4.2.1.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

შემოსული და გასული წერილების შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ახდენს რეაგირებას მოსწავლეთა თვითმმართველობისა თუ მოსწავლის ინდივიდუალური მიმართვაზე, მოსწავლის მშობლის განცხადებასა თუ კლასის მშობლების ისეთ შეთავაზებებზე, რომელთა მიზანიც მოსწავლის/მოსწავლეების უფლებების რეალიზების ხელშეწყობაა. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე ხდება სკოლის შინაგანაწესის, უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან, იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც დასტურდება eflow-ს გადამოწმებით.

4.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალთან გასაუბრების, სკოლის კედლებზე გამოფენილი და საავტორიზაციო განაცხადში წარმოდგენილი ფოტო მასალის მიხედვით, სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებასა და არაფორმალური განათლების ელემენტების ჩართვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული აქტივობები თემატიკით შეესაბამება სკოლის ასაკობრივ ჯგუფებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებსა და ინიციატივებს.

თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა შეჯიბრება მკლავჭიდში და გამარჯვებულები დააჯილდოვეს მედლებითა და თასებით, რაც შემდგომი მოტივაციის საფუძველი გახდა.

სკოლას ყავს საქართველოს ჩემპიონები მძლეოსნობაში, მიმართულება გეზრბენი. მკლავჭიდში ყავთ 2 საქართველოს ჩემპიონი ბამბიქტონში დაიკავეს მე-2 საპრიზო ადგილი. თვითმმართველობის ინიციატივით გამარჯვებულებს მოუწყვეს საზეიმო დახვედრა, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენე აგრეთვე მშობლები. რაიონში გამართულ ინტელექტუალურ თამაშში „რა სად, როდის“ ბაისუბნის გუნდმა აიღო პირველი ადგილი.

სკოლაში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით: „ო,ენავ, ჩემო“, რომლის დევიზი იყო : „ენა კავშირია და არა ბარიერი“

პროექტის ავტორი/ორგანიზატორი: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. სამიზნე ჯგუფი: V–XII კლასები (ქართულენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები). მთავარი მიზნები იყო ენის სიწმინდის დაცვა, მოსწავლეების მეტყველებიდან ბარბარიზმების (როგორც რუსული და ინგლისური, ისე ჟარგონული ფორმების) ამოღება და მათი ქართული შესატყვისებით ჩანაცვლება. აზერბაიჯანელი მოსწავლეების აქტიური ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, მათი ქართული სასაუბრო ენის გაუმჯობესება და კულტურული დიალოგის გაღრმავება. ასევე, ლექსიკური მარაგის გამდიდრება: ფუნქციური და შემოქმედებითი აქტივობების საშუალებით ქართული ენის სილამაზისა და შესაძლებლობების ჩვენება. სკოლაში ასევე ჩატარდა ვორქშოპი: „სიტყვის ლაბორატორია“. აქტივობა „ისწავლე და ასწავლე“ (თანატოლთა განათლება): ქართულენოვანი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები წყვილდებიან. ქართულენოვანი მოსწავლე ეხმარება პარტნიორს ყოველდღიურ სასაუბრო ქართულში ბარბარიზმების თავიდან აცილებაში, ხოლო აზერბაიჯანელი მოსწავლე უზიარებს თავისი კულტურის რომელიმე საინტერესო სიტყვას ან გამოთქმას. ეს ზრდის ურთიერთპატივისცემას.

ასევე, ჩატარდა კონკურსი: „ენის მცველები“.

საახალწლო ღონისძიებებზე მოსწავლეთა წახალისება ხდება ტკბილეულით.

არაფორმალური განათლების ფარგლებში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში, პროექტებში, ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მათ შემეცნების დონის, გუნდური მუშაობის, კვლევის, სხარტი აზროვნების, სწორად მეტყველების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას.

რჩევა: *სასურველია, გაძლიერდეს არაფორმალური განათლება, კერძოდ კლუბური მუშაობა, სადაც მოსწავლეები განახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს და პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკურად ზეირბარჯანელი ბავშვების კომუნიკაციის გაღრმავებას ქართველ ბავშვებთან და უზრუნველყოფს ქართული ენის უკეთ შესწავლას.*

4.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა მუდმივად იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე კითხვარების შევსების საფუძველზე. სკოლაში ჩატარებული სასკოლო თუ საკლასო კვლევების დასკვნების საფუძველზე იგეგმება საჭირო ინტერვენციები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია მოსწავლეთა საჭიროებების დადგენასა და მომსახურეობის გაუმჯობესებასთან;

4.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადაპტაციის დოკუმენტი;*
- *რესურს ოთახის ფოტო;*
- *ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის წესი;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
- *თვითმმართველობის ოქმები;*
- *პროექტები საფეხურების მიხედვით.*
- *ჩატარებული ღონისძიებებისა და განხორციელებული პროექტების ფოტომასალა.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობასა და ხელმისაწვდომობაზე. სკოლა ხელს უწყობს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვას. დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე საუბრობენ სამომავლო პროფესიებზე, შეხვედრებს ატარებენ მშობლებთან პროფორიენტაციის მიმართულებით.

სკოლა თანამშრომლობს უნივერსიტეტთან და კოლეჯთან, კერძოდ ლაგოდეხში არსებულ კაჭრეთის ფილიალთან, საიდანაც მოდიან და მოსწავლეებთან ატარებენ შეხვედრებს, რომლიც მიზნად ისახავს კარიერულ დაგეგმარებაში მოტივაციას. აღნიშნულ კოლეჯში სწავლა უკვე ორმა მოსწავლემ გააგრძელა სხვადასხვა მიმართულებით.

სკოლაში ჩატარდა აგრეთვე დაგეგმილი შეხვედრები უფროსკლასელთათვის კადეტთა ლიცეუმიდან. მასწავლებლები ესწრებიან პროფკავშირების მიერ დაგეგმილ ონლაინტრენინგებს კურიკულუმის დაგეგმვასტან დაკავშირებით.

4.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

4.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს ზეპირი გასაუბრების საფუძველზე.

4.2.2.3.ინდიკატორის დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეხვედრის ფოტომასალები.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ამ მიზნით დამტკიცებული ისგ ჯგუფი. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ჩასატარებელი აქტივობები, დრო და პასუხისმგებელი პირები. სსსმ მოსწავლეებისთვის დგება თითოეულზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლებსაც სპეციალური და სხვა საგნის მასწავლებლები ერთობლივად ადგენენ. ისინი ეცნობიან მოსწავლეების შესახებ მულტი დისციპლინური გუნდის წერილობით დოკუმენტებს, გადიან კონსულტაციებს მშობლებთან, უშუალოდ აკვირდებიან მოსწავლეებს და არკვევენ, თუ რა სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას და მოსწავლეების რომელი ძლიერი მხარეების გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი ამისთვის. ამის შემდეგ ხდება გრძელვადიანი (წლიური) მიზნების განსაზღვრა. ამ მიზნების მისაღწევად ისახება უფრო კონკრეტული მოკლევადიანი მიზნები. მოსწავლეების შეფასება ხორციელდება მათ ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში, იმის მიხედვით, მიაღწიეს თუ არა ბავშვებმა დასახულ კონკრეტულ შედეგს. სპეციალური მასწავლებელი ახორციელებს ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგს. სკოლას ყავს სპეც მასწავლებელი, რომელიც ყოველდღიურად ამყარებს აქტიურ კომუნიკაციას სსსმ მოსწავლის მშობლებთან პირისპირ, სატელეფონო ზარითა თუ მესენჯერის საშუალებით, აცნობს საკუთარი შვილის ყოველდღიურ მიღწევებსა თუ გამოწვევებს. კლასის დამრიგებლებიც მესენჯერის ჯგუფების საშუალებითა თუ სატელეფონო ზარებით აწვდიან სხვადასხვა სახის ინფორმაციას მშობლებს, სპეციალური მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ერთმანეთთან ამყარებენ აქტიურ კომუნიკაციას და აჯერებენ კონკრეტული სსსმ მოსწავლის სასწავლო დღეს.

4.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებასთან ინტეგრაციის პროცესში. რესურს ოთახი მოაწყო საჭირო ინვენტარით და გაამდიდრა სასწავლო მასალით. სსსმ მოსწავლეებთან ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის განსაზღვრულია ისგ ჯგუფის შემადგენლობა და ყველა ეტაპზე აწარმოებს სწავლა–სწავლებისა და დოკუმენტაციის მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მშობლებთან/მეურვესთან კომუნიკაციას. სასწავლო პროცესი სსსმ მოსწავლეებისათვის არის მათ საჭიროებებზე მორგებული, შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო როგორც მასწავლებლების, ასევე

მოსწავლეების მხრიდან. დამრიგებლები წინასწარ ამზადებენ კლასს სსსმ მოსწავლეების მისაღებად, სწორი დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად და ამ საკითხებზე ესაუბრებიან მშობლებსაც. ბავშვები და მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებს ეხმარებიან სკოლის გაცნობაში, კლასთან ადაპტირებაში. სსსმ მოსწავლეთა აღზრდას სკოლაში ემსახურება 2 სპეციალური მასწავლებელი. ისინი თანამშრომლობენ დანარჩენ მასწავლებლებთან , მშობლებთან და ხელს უწყობენ პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. ერთობლივად გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად რთავენ სსსმ მოსწავლეებს. მათი ნაშრომები გამოფენილია რესურს-ოთახში.

4.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი;*
- *სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი;*
- *ისგ გეგმები*
- *სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;*
- *მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა;*
- *შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;*
- *რესურს ოთახის სურათები, მოსწავლეთა აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა;*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა არ ახორციელებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება საზოგადოებრივი ტრანპორტი, რომელიც ექვემდებარება მუნიციპალიტეტს. აღნიშნული ტრანსპორტი მოძრაობს წინასწარ დადგენილი მარშრუტით 3 მიმართულებით:

1. ზემო მსხალგორი, ქვემო მსხალგორი-- ბაისუბნის სკოლა.
2. ბაისუბანი(უღელტეხილი) --- ბაისუბნის სკოლა.
3. პატარა გორი -- ბაისუბნის სკოლა.

4.2.4.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი,სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება კანონის შესაბამისად, ნებაყოფლობის პრინციპით. სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას სკოლაში და სკოლიდან შინ.

4.2.4.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

4.2.4.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მძღოლის მონაცემები და ტაბელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დოკუმენტური მასალისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ავითარებს კურიკულუმს ისეთი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსწავლეები, პედაგოგები, ადმინისტრაცია, მშობლები) ინტერესებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს. კურიკულუმის განახლებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები) მოსაზრებები. კურიკულუმში ასახულია მოსწავლეთა საჭიროებები, სკოლა იყენებს შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმებს.

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მათ შორის პედაგოგები, ადმინისტრაცია და ნაწილობრივ მშობლებიც. პროცესში მონაწილეობა ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების მეშვეობით. გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალური განხილვის საფუძველზე.

2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას გაზიარებული აქვს სასკოლო კურიკულუმი პედაგოგიურ საბჭოზე; მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით, როგორც მშობელთა კრებებზე, ასევე სპეციალური ჩატების საშუალებით; მოსწავლეები ინფორმირებული არიან თავიანთი საგნობრივი და კლასგარეშე აქტივობების არჩევანის შესაძლებლობებზე.

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მეთოდოლოგია;*
- *პედაგოგიური საჭოს ოქმი;*
- *კათედრის ოქმები;*
- *მშობელთა კრების ოქმი;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *სადამრიგებლო პროგრამები;*
- *სკოლის ვებგვერდი*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმების ანალიზმა და შესაბამისად, ინტერვიუ მასწავლებლებთან აჩვენა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა დიდწილად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს. სკოლამ, მიუხედავად გადატანილი ფორსმაჟორული მდგომარეობისა (ხანძარი) , შეძლო კურიკულუმების ფუნქციურად გამართვა კლასებისა და საფეხურების უმრავლესობაში:

- მე-5 და მე-6 კლასებში განსაზღვრული შემოქმედებითი (კომპლექსური) დავალებები სრულად შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს და ორიენტირებულია მოსწავლის პრაქტიკულ-შემოქმედებით განვითარებაზე.
- ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმებში სტაბილური და ნორმალური მდგომარეობაა. თემატური მატრიცები სტრუქტურულად მოწესრიგებულია.
- მაღალ კლასებში კომპლექსური დავალებები სამიზნე ცნებების დაფარვის კუთხით კარგად არის გააზრებული. მაგალითად, მე-10 კლასის ქიმიის კურიკულუმში, თემაზე „ქიმიური კინეტიკა“ წარმოდგენილი კომპლექსური დავალება მიემართება სტანდარტის ყველა სავალდებულო სამიზნე ცნებას (*ნივთიერება, ქიმიური ბმა, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები*), რაც უზრუნველყოფს სწავლების კომპლექსურობას.

სასწავლო გეგმის კიდევ უფრო დახვეწისა და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სრულყოფის მიზნით, იკვეთება გარკვეული ასპექტები, რომლებიც საჭიროებენ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას:

1. დაწყებით კლასებში (მაგ. მე-3 კლასში) შემოქმედებითი დავალების ბარათები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ყველა საჭირო სამიზნე ცნების თანაბარ დამუშავებას. დავალება „რა ქმნის ამინდს; რა არის ამინდის პროგნოზი“ (ბუკლეტი) მიემართება მხოლოდ ერთ ცნებას („მოვლენა“), ხოლო დავალება „წყლის წვეთის თავგადასავალი“ ფარავს მხოლოდ ორ ცნებას („სხეულები და მოვლენები“, „ნივთიერების თვისებები“). სასურველია, დავალებები შინაარსობრივად ისე გაფართოვდეს, რომ წლის განმავლობაში არ გამოირიცხოს სხვა სავალდებულო ცნებები.
2. მე-10 კლასის ქიმიის კურიკულუმში, მიუხედავად ცნებების სწორი შერჩევისა, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება ტრადიციულ „სოლო“ (SOLO) ტაქსონომიას, ნაცვლად მესამე თაობის ესგ-ს მიერ შემოთავაზებული გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებებისა და შედეგის მიღწევის ინდიკატორების) მიხედვით შექმნილი შეფასების რუბრიკებისა.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი **შეესაბამება** მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ძირითად პრინციპებს. გამოკვეთილი საჭიროებები ატარებს ნაწილობრივ ხასიათს, წარმოადგენს შემდგომი გაუმჯობესების კარგ შესაძლებლობას და მათი დახვეწა სრულიად რეალურია მიმდინარე მუშაობის პროცესში, შიდა სასკოლო მხარდაჭერისა და კათედრის მუშაობის გაძლიერების გზით.“

	რჩევა: • რეკომენდებულია ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა მე-3 კლასის არსებულ კომპლექსურ დავალებებს დაამატონ 1-2 კრიტერიუმი, რათა მათში ინტეგრირდეს გამოტოვებული სამიზნე ცნებები. • მე-10 კლასის ქიმიის (და საჭიროების შემთხვევაში სხვა საგნების) შეფასების ნაწილში, არსებული „სოლო“ ტაქსონომიის დონეები თავსებადი გახდეს ესგ-ს ფუნქციურ კომპონენტებთან (შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან), რათა შეფასება პირდაპირ პასუხობდეს სამიზნე ცნების ინდიკატორებს. • ვინაიდან საბაზო/საშუალო საფეხურზე და მე-5, მე-6 კლასებში სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, მიზანშეწონილია უფროსმა და გამოცდილმა კოლეგებმა გაუწიონ მეთოდური კონსულტაცია დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მატრიცების დახვეწაში. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში სტრუქტურირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კერძოდ, ასახულია თემატური დაგეგმვა სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მოსწავლეთა დაინტერესების და შინაგანი ძალების გააქტიურების მიზნით, საკითხების უკეთ გააზრებისთვის განსაზღვრულია კონტექსტ-მაგალითები, ასევე, მაგალითები შედარებისთვის. კურიკულუმში, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია დავალების იდეები, რომლებიც კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და ხელს უწყობს როგორც სასწავლო-შემოქმედებით უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის პრინციპებს. კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ

	განვითარებას და თავისებურებებს და თითოეულ საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ასაკის და დონის შესაბამის აქტივობებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა საფეხურის კურიკულუმებში მოცემული აქტივობები არის მრავალფეროვანი და მოიცავს როგორც პრეზენტაციებს ასევე პროექტებს, Pinboard-ის შექმნას, ბროშურებს და ა.შ. რაც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას უზრუნველყობს. **რჩევა:** **1. აქტივობების აღწერის დეტალიზაცია** კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობების ფორმულირება ხშირ შემთხვევაში ზოგადი და არასაკმარისად კონკრეტულია, რაც ართულებს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის ორიენტირებას დავალების შესრულებისას. მაგალითად, მეხუთე კლასის კურიკულუმში ვკითხულობთ „მოამზადე პროექტი შინაური ცხოველის შესახებ" რაც ბუნდოვნად გადმოსცემს დავალების მოთხოვნებს. სასურველია, აქტივობების აღწერაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული: ● პროექტის ფორმატი: პრეზენტაცია, ნახატი, ზეპირი მოხსენება, მოდელი, პლაკატი და სხვა; ● მოცულობა და სტრუქტურა: მაგალითად, რამდენი სლაიდი, რამდენი პუნქტი, რა ელემენტები უნდა შეიცავდეს; ● განხორციელების პირობები: ინდივიდუალური თუ ჯგუფური, საკლასო თუ სახლის დავალება. ეს ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის დავალებების სიცხადეს და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითდამოუკიდებლობის განვითარებას. **2. „კონტექსტ მაგალითის" გრაფის შინაარსობრივი გადახედვა**

	ამჟამად „კონტექსტ მაგალითის" გრაფაში მოცემულია გაკვეთილის თემატიკა და შესასწავლი საკითხების ჩამონათვალი, რაც არ შეესაბამება ამ გრაფის დანიშნულებას. კონტექსტ მაგალითი, თავისი არსით, უნდა წარმოადგენდეს კონკრეტულ, ნათელ ილუსტრაციას, ანუ პრაქტიკულ სიტუაციას, ნიმუშს ან მაგალითს, რომელზეც დაყრდნობით მოსწავლე გაიაზრებს და შეასრულებს შესაბამის აქტივობას. სასურველია, სკოლამ ამ გრაფაში განათავსოს: • **კონკრეტული ტექსტობრივი, ვიზუალური ან სიტუაციური მაგალითები**, რომლებსაც მოსწავლე გამოიყენებს სახელმძღვანელოდ; • **სრულყოფილად შესრულებული დავალებების ნიმუშები**, რათა მოსწავლეს ჰქონდეს მიზნობრივი ორიენტირი • **რეალური კონტექსტიდან მოყვანილი მაგალითები**, რომლებიც დაუკავშირებს სასწავლო შინაარსს ყოველდღიურ გამოცდილებასთან. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და განვითარებას. ისინი ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას დამოუკიდებელ, პრაქტიკულ, ანალიტიკურ და შემოქმედებით საქმიანობებში, თითოეული მოსწავლის ინტერესების, უნარების, შესაძლებლობებისა და განვითარების ინდივიდუალური ტემპის გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა მასწავლებლებს აძლევს თავისუფლებასა და შესაძლებლობას, შეარჩიონ ისეთი სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მოსწავლეთა ინტერესებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სამივე საფეხურზე შემუშავებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმები. შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ მოსწავლის და მშობლის ბარათებს აზიარებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. წინა სასწავლო წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემების ფარგლებში გამოკვეთილია საკითხთები, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ძირითადად ორინტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. აგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესს შესასწავლი საკითხების მიმართ.ინდიკატორი **რჩევა**-ა)ბ)საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ჯამური საათობრივი დატვირთვა გადაიტანეთ თავფურცელში წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვის სახით; ბ)კარგი იქნება, თუ დაწყებით და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერთ რაოდენობრივად რეალურად განსახორციელებელ და შესასრულებელ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თუმცა თემების დასახელებებს მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში აკლია აკადემიურობა, ხოლო მე-6 კლასში თავს იჩენს ზოგიერთი თემისა და საკითხების შეუსაბამობა. თითოეული თემისთვის შერჩეულია საკითხების ჯგუფი, თუმცა მესამე კლასში აღრეულია საკითხები და კონტექსტ-მაგალითები. საკითხებისთვის შერჩეულია

	რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შუალედური მიზნებით-კომპლექსური დავალებებით ან პროექტებითაა შესაძლებელი. **რჩევა:** სასურველია, თემების დასახელებისას გამოიყენოთ მესამე თაობის ესგ, რა კურიკულუმებს აკადემიურობას შესძენს და, ასევე, მეტი ყურადღება დაეთმო სტრუქტურული ერთეულების ერთმანეთთან შესაბამისობას. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს). **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების სასკოლო კურიკულუმები სრულად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებსა და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. თითოეული კლასის პროგრამაში მკაფიოდ და საფეხურებრივი ლოგიკის დაცვითაა ინტეგრირებული სავალდებულო სამიზნე ცნებები, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენებითა და ქვეცნებებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი პრაქტიკული აქტივობები და კომპლექსური დავალებები ქმნის თანმიმდევრულ საგანმანათლებლო სისტემას. დოკუმენტების სტრუქტურა და დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კონსტრუქტივისტული პრინციპების რეალიზებაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებულ სწავლებას, კრიტიკული და ტრანსფერული უნარების ეტაპობრივ განვითარებასა და გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას.

	2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზი აჩვენებს, რომ საგნობრივი პროგრამები დიდწილად ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე. კურიკულუმების აბსოლუტურ უმრავლესობაში სწორად და მკაფიოდ არის გაწერილი სავალდებულო სამიზნე ცნებები და მათ მისაღწევად შერჩეულია შესაბამისი, შინაარსობრივად გამართული თემატური საკითხები. კლასებისა და საფეხურების უმეტესობაში სასწავლო გეგმები სტრუქტურულად და შინაარსობრივად სრულად მოწესრიგებულია, რაც მოწმობს კათედრის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან სამუშაოს. ერთიანი დოკუმენტის კიდევ უფრო მეტი სრულყოფისა და მოქმედ სტანდარტებთან სრული თავსებადობის მიზნით, სასურველია მიმდინარე სამუშაო პროცესში რამდენიმე ტექნიკური და მეთოდოლოგიური ასპექტის დაზუსტება: 1. მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში ფიქსირდება მცირედი ტექნიკური უზუსტობა — გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებების) გრაფაში შეცდომით ჩაწერილია კონკრეტული თემატური საკითხები. აღნიშნული საჭიროებს მხოლოდ მექანიკურ გადაადგილებას შესაბამის გრაფაში.

	2. ქიმიის კურიკულუმში წარმოდგენილია თემა, რომელიც მთლიანად ეძღვნება ელემენტთა პერიოდულობის სისტემას, თუმცა მიზნებში გამოტოვებულია თავად სამიზნე ცნება „ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი“. დოკუმენტის შინაარსობრივი სისრულისთვის მიზანშეწონილია ამ ცნების ფორმალურად ასახვაც. 3. საბაზო საფეხურის ფიზიკის კურიკულუმი შედგენილია 2022 წლის დამხმარე მეთოდური დოკუმენტის (ფიზიკის გზამკვლევის) მიხედვით. ვინაიდან 2023 წელს დამტკიცდა ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი რედაქცია, სასურველია ფიზიკის მატრიცებში მოცემული ცნებები შესაბამისობაში მოვიდეს უახლეს (2023 წლის) სახელმწიფო სტანდარტთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები **მიემართება** ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და პასუხობს მის ძირითად მოთხოვნებს. გამოკვეთილი მცირედი შეუსაბამობები ატარებს სამუშაო ხასიათს. მათი გამოსწორება და დოკუმენტის სრულყოფა მარტივად არის შესაძლებელი მიმდინარე სასწავლო პროცესში, შიდა სასკოლო მხარდაჭერისა და კათედრის წევრების კოლეგიალური თანამშრომლობის გზით. **რჩევა** • მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგმა გადაიტანოს საკითხები შესაბამის სვეტში და გრძელვადიან მიზნებად მიუთითოს ესგ-ს სავალდებულო სამიზნე ცნებები. • **ქიმიის მატრიცის შევსება:** საბაზო საფეხურის ქიმიის მასწავლებელმა პერიოდულობის სისტემის თემასთან მიმართებით მიზნების ჩამონათვალში ოფიციალურად დაამატოს ცნება — „ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი“. • ფიზიკის პედაგოგებმა კურიკულუმში არსებული ცნებები შეადარონ 2023 წელს დამტკიცებულ ესგ-ს და მოახდინონ ტერმინოლოგიის უმცირესი კორექტირება ახალი რედაქციის მიხედვით. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** ძირითადად შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი

	მიზნები - სამიზნე ცნებები/საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეებს განუვითარდეთ ფუნქციურ კომპონენტური უნარები: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, მე და საზოგადოების კურიკულუმებში თემა ,,სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები-ს“ ნაცვლად წერია ,,სასკოლო გარემო“; ,,სად და როგორ ვიღებ განათლება''-ს ნაცვლად - ,,განათლება“); მე-6 კლასის კურიკულუმში აკლია სამი თემა: აფხაზეთი, საქართველოს დედაქალაქი - თბილისი, სახელმწიფო- ჩვენი საქართველო. ამავე საგნის მე-5 კლასის კურიკულუმში თითოეული თემის ფარგლებში სრულად არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალება ,,დისკუსია აიეტისა და ფარტაზის სიტყვით გამოსვლის შესახებ, საკითხის მითითების გარეშე. ამავე კურიკულუმში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შესახებ კომპლექსური დავალება, შეცდომით გვიანანტიკურ საკითხებთანაა მოცემული. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. გამოხატავენ მზაობას, სამუშაო პროცესშივე მოახდინონ აღნიშნული დოკუმენტების კორექტირება და მათი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა. **რჩევა:** **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური** 1. მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები. 2. სასურველია, კურიკულუმში მოცემულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს (კომპლექსური დავალების) დანართის სახით, თან ახლდეს მათი განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუქციები, შეფასების კრიტერიუმები, რესურსები და აქტივობების აღწერა. 3. სასურველია, კომპლექსური დავალებები მეტად შეესაბამებოდეს საკითხის შინაარსს და მკაფიოდ იკვეთებოდეს მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი, მაგალითად, მე-

	9 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში საკითხთან — „ადამიანური განვითარების ინდექსი საქართველოში“ - მიმართებით, კომპლექსური დავალება მხოლოდ „კონტექსტ-მაგალითის განხილვითა“ და „საერთო საკლასო მსჯელობით“ შემოიფარგლება, რაც ნაკლებად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის სიღრმისეულად გააზრებასა და პრაქტიკულ გამოყენებას. მიზანშეწონილია, დავალება მოიცავდეს კონკრეტულ შემოქმედებით ან კვლევით პროდუქტს (მაგ., პრეზენტაცია, ინფოგრაფიკა, შედარებითი ანალიზი, კვლევა და სხვა). **4.** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. მაგალითად, საგნების ნაწილი იწყება სამიზნე ცნების გრაფით, ნაწილი - სასწავლო თემით; კურიკულუმების ნაწილს აქვს გრაფა ,,სამიზნე ცნება”, ნაწილს - ,სამიზნე ცნება/ქვეცნებები/ ქვესაკითხები”; ასევე, განსხვავებულად არის მითითებული შუალედური მიზნები: დავალების იდეა/მიზანი, კომპლექსური დავალების იდეა, დავალების იდეა/პირობა (შუალედური მიზანი). **საშუალო საფეხური:** 5. სასურველია, მე-10 კლასის საქართველოს ისტორიისა, ასევე, მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები მეტად თანხვედრაში მოვიდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ისტორიის საგნობრივ სტანდარტთან, განსაკუთრებით თემებისა და საკითხების შესაბამისობის მიმართულებით. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები ყველა საფეხურზე ეყრდნობა და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიზნებსა და პრინციპებს. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმი მიმართულია ოთხი ძირითადი სამეტყველო კომპეტენციის, მოსმენის, საუბრის, კითხვისა და წერის, თანმიმდევრული და ეტაპობრივი

	განვითარებისაკენ. აღნიშნული მიდგომა სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურისათვის განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებზე მორგებულ მოლოდინებთან. საბაზო საფეხურზე კურიკულუმი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას, კომუნიკაციური კომპეტენციისა და კრიტიკული აზროვნების უნარების გაღრმავებასა და გამდიდრებას. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიები: სხვადასხვა ჟანრისა და სტილის ტექსტებთან მიზანმიმართული მუშაობა, რეალური ცხოვრებისეული კონტექსტიდან მოტანილი თემების გარშემო ორგანიზებული დისკუსიები, აგრეთვე გრამატიკული სტრუქტურების პრაქტიკულ, კომუნიკაციურ სიტუაციებში გაზრებული გამოყენება. ეს ყველაფერი ერთობლივად ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით საბაზო საფეხურის დასასრულისათვის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საშუალო საფეხურზე კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მოსწავლის მომზადებას დამოუკიდებელი, კრიტიკულად მოაზროვნე და კომუნიკაბელური პიროვნების სახით. კურიკულუმი ითვალისწინებს რთული და მრავალშრიანი ტექსტების ანალიზს, საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებულ წარდგენას როგორც ზეპირად, ისე წერილობით, აგრეთვე ენობრივი საშუალებების შეგნებულ და მიზანმიმართულ გამოყენებას სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ისინი ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, სოციალური უნარებისა და პიროვნული შესაძლებლობების განვითარებას მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით. მუსიკის კურიკულუმი ავითარებს ემოციურ აღქმასა და შემოქმედებით თვითგამოხატვას, ხოლო ხელოვნების კურიკულუმი — ვიზუალურ აზროვნებას, ესთეტიკურ გემოვნებასა და კულტურულ

	ცნობიერებას. კურიკულუმებში ასევე გათვალისწინებულია ინტეგრირებული სწავლება, რაც ცოდნის პრაქტიკულ და კომპლექსურ გააზრებას უწყობს ხელს. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე,სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა, ბუკლეტის შექმნა..),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. ინდიკატორი **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმში გაწერილ შემოქმედებით დავალებებთან მიმართებით გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებისკენ: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. ყველა კლასის კურიკულუმებში თითოეული სამიზნე ცნება ჩაშლილია ქვეცნებებად. თუმცა, ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მაგალითად, მე-3 და მე-4 კლასი) ქვეცნებები ისეთი ფორმითაა

	წარმოდგენილი, რომ ზუსტად არ აღწერს თემისა და საკითხების არსს, რაც ხელს უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ სვლას. **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასისთვის წარმოდგენილი კურიკულუმის ყოველი კომპონენტი, მათ შორის ქვეცნებები, წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი კავშირი კონკრეტულ აქტივობებს, კომპლექსურ დავალებებსა და საგნის სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს შორის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულობას. პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიული მასალის მიწოდებაზე, არამედ მოსწავლეებში ფუნქციური უნარების (კრიტიკული, ალგორითმული და შემოქმედებითი აზროვნება) განვითარებასა და ციფრული წიგნიერების იმ შედეგების მიღწევაზე, რომლებსაც საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები.

	რჩევა - სასურველია, კათედრამ, ქართული ენის საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; საკითხი და დავალების იდეა ერთსა და იმავეს წარმოადგენს, ასევე, საკითხთა კლასტერი და მაგალითები შედარებისთვის არ არის საჭირო. ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით კურიკულუმებში სწორად აისახოს სახელმძღვანელოს ავტორები. ესგ–ს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებები დაზუსტდეს, თითოეულ თემაში აისახოს ყველა სამიზნე ცნება. მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი მიმართულებით, თემები და საკითხები დაზუსტდეს კლასების მიხედვით, საათების რაოდენობა, უმჯობესია, თემასთან განისაზღვროს, ვიდრე, დავალების იდეასთან. სასურველია, კურიკულუმებს თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით. სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დიდი ყურადღება ეთმობა მრავალფეროვანი რესურსების შერჩევას. სასწავლო გეგმებში თითოეულ თემას თან ახლავს გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორების მითითება და დამხმარე მასალები. აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს: კურიკულუმებში ინტეგრირებული სასწავლო ვიდეორესურსები შერჩეულია ნორმალურად, თემატურად ადეკვატურია, ელექტრონული ბმულები (ლინკები) არის სრულიად მუშა და თავისუფლად იხსნება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და ხელმისაწვდომობას. **შემდგომი გაუმჯობესებისა და საორგანიზაციო დაზუსტების შესაძლებლობები:** რესურსების მართვის ოპტიმიზაციისა და სასკოლო დოკუმენტაციის კიდევ უფრო მეტი სისრულისთვის, სასურველია ყურადღება მიექცეს შემდეგ ტექნიკურ ასპექტებს: კურიკულუმების შიგნით არსებული მითითებების მიუხედავად, კათედრას ცალკე დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია გამოყენებული სახელმძღვანელოების ერთიანი, 1. კონსოლიდირებული ჩამონათვალი. ასეთი კატალოგის არსებობა გაამარტივებდა რესურსების შიდა მონიტორინგს. 2. ვიზიტამდე წარმოდგენილ მე-4 კლასის კურიკულუმსა და ვიზიტის შემდგომ პერიოდში სკოლის მხრიდან ოპერატიულად დახვეწილ ვერსიას შორის ფიქსირდება სახელმძღვანელოს ავტორთა ცვლილება (საწყის ვერსიაში მითითებული იყო „ბლიაძე, ახვლედიანი“, ხოლო განახლებულ დოკუმენტში — „ვარდიაშვილი, ჭელიძე, ავალიანი, გედენიძე“). დოკუმენტური სიზუსტისთვის მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის საბოლოო ვარიანტში აისახოს ზუსტად ის სახელმძღვანელო, რომლითაც რეალურად მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი კლასში. ამრიგად, კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და დამხმარე რესურსები ძირითადად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. გამოკვეთილი ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობები და სამუშაო პროცესში მონაცემთა კორექტირების საჭიროება არ აფერხებს სასწავლო პროცესს და მათი საბოლოო მოწესრიგება მარტივად არის შესაძლებელი შიდა სასკოლო კოორდინაციით.

	რჩევა • საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ მოამზადოს ერთი მოკლე საინფორმაციო ფურცელი/ცხრილი, სადაც თავმოყრილი იქნება საფეხურების მიხედვით გამოყენებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს ზუსტი დასახელება და ავტორთა შემადგენლობა. • მე-4 კლასის პედაგოგმა კიდევ ერთხელ გადაამოწმოს და კურიკულუმის ძირითად ჩარჩოში საბოლოოდ დატოვოს მხოლოდ იმ ავტორთა გუნდი, რომლის წიგნითაც რეალურად სარგებლობენ მოსწავლეები მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. მასწავლებლებთან გასაუბრების, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. **რჩევა: (2.1.2.3)** **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური** 4. სასურველია, კათედრის N1 ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რესურსების შერჩევის საფუძვლებს.

	5. ჩვენი საქართველოს კურიკულუმში, რესუსრების გრაფაში მისათითებელია გრიფირებული სახელმძღვანელო, გვერდები და პარაგრაფები. ასევე, დამატებითი რესურსები. 6. მიზანშეწონილია, რომ არა მხოლოდ მოქალაქეობის, არამედ სხვა საგნების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმებში მითითებულ ელექტრონულ რესურსებს თან ახლდეს შესაბამისი დასახელება/აღწერა და არა მხოლოდ ბმული, რაც გაამარტივებს რესურსის შინაარსის იდენტიფიცირებასა და მის მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსების შერჩევა ყველა საფეხურზე მიზანმიმართული და სასწავლო შედეგებზე ორიენტირებულია. კურიკულუმები მოიცავს რესურსების მრავალფეროვან სპექტრს: სახელმძღვანელოს, სამუშაო რვეულს, აუდიო-ვიდეო მასალებს, პოსტერებსა და YouTube-ის ვიდეომასალებს, რომლებიც ერთობლივად ქმნიან სტიმულირებულ სასწავლო გარემოს და შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ საჭიროებებს. **რჩევა:** **5. დიფერენცირებული რესურსების ნაკლებობა** არსებული კურიკულუმები არ ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებულ დიფერენცირებულ რესურსებს. სასურველია, შესაბამისი დამატებითი მასალების ჩართვა კურიკულუმში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. **6. რესურსების სპექტრის გაფართოება საბაზო და საშუალო საფეხურზე** საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მიზანშეწონილია გამოყენებული რესურსების მრავალფეროვნების გაზრდა. კერძოდ, რეკომენდებულია პრესის სტატიების, ონლაინ რესურსების, სამუშაო ფურცლებისა და ფლიპჩარტის ინტეგრირება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ავთენტური მასალების, მედიაზე, გარემოზე,

	სოციალურ ურთიერთობებზე შექმნილი რეალური ტექსტების, გამოყენებას, ვინაიდან ასეთი მასალები ამყარებს კავშირს სასწავლო პროცესსა და მოსწავლის ყოველდღიურ გამოცდილებას შორის, რაც არსებითად ზრდის სასწავლო მოტივაციას და აღრმავებს გააზრების დონეს. ეს მხოლოდ მე-12 კლასის კურიკულუმშია გათვალისწინებული. **7. რესურსების სიმწირე ცალკეულ კლასებში** მეხუთე, მეცხრე და მეათე კლასების კურიკულუმებში მითითებულია მხოლოდ სახელმძღვანელო, როგორც ერთადერთი სასწავლო რესურსი. სხვა საფეხურებთან თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად სასურველია ამ კლასებშიც დაემატოს დამხმარე და გამამდიდრებელი მასალები. **8. მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების ასახვა კურიკულუმში** გასაუბრების პროცესში გამოვლინდა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ საკუთარი შექმნილ Flashcard-ებს, თუმცა ეს რესურსი კურიკულუმებში არ არის ასახული. ვინაიდან მოცემული მასალა სასწავლო პროცესში ეფექტიანობას ამტკიცებს, რეკომენდებულია მისი შეტანა კურიკულუმის რესურსების ნაწილში. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა ინტერესისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვანი ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსების გამოყენებას, მათ შორის ნოტების, ჩანაწერების, ვიდეომასალის, ილუსტრაციების, პრაქტიკული დავალებებისა და ინტერნეტრესურსების. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, რათა აღნიშნული რესურსები ეფექტიანად გამოიყენონ სასწავლო პროცესში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უფრო საინტერესო და ინტერაქტიულ ფორმატში წარმართვას. თანამედროვე რესურსების

	გამოყენება ასევე აძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას, დამოუკიდებელ აზროვნებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე.შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ინდიკატორი **რჩევა-**სასურველია,მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწეროთ მრავალფეროვანი რესურსები,რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (პირველ-მეორე კლასებში - ინტელექტის გამომცემლობა, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით, მე-3 და მე-4 კლასებში „აიმც“ გამომცემლობა, შოშიაშვილის და დევდარიანის ავტორობით, მე-5 - მე-10 კლასებში მათემატიკის სახელმძღვანელოებს, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თ. ბექაური, ა. საგინაშვილის ავტორობით, ხოლო საშუალო საფეხურზე გამომცემლობა „ინტელექტი“, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სამივე საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ შერჩეული სასწავლო რესურსები პირდაპირ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში რესურსები დაჯგუფებულია მიზნობრივად: სწავლის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო და ლოკალური პლატფორმები (Scratch, Code.org, school.emis.ge, "ვსწავლობთ თამაშით"), რაც ხელს უწყობს ალგორითმული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას პრაქტიკული გზით. ინტეგრირება საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაეუფლოს ინფორმაციის დამუშავებას, შენახვასა და გაზიარებას რეალურ ციფრულ გარემოში. პირობითი ნიშნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას გამოყენებულია თვალსაჩინოებები, მაკეტები და გრაფიკული რედაქტორები (Paint 3D), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე კონსტრუქტივისტული მიდგომის (კეთებით სწავლება) განხორციელებისთვის. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფმორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

	რჩევა: სასურველია, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, კურიკულუმები გამდიდრდეს მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსებით. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დოკუმენტური ანალიზი და საგაკვეთილო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი არის თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული, ინკლუზიური და ეფუძნება თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს. სკოლა, მიუხედავად მატერიალური გამოწვევებისა, მაქსიმალურად ზრუნავს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე: • საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (სსსმ) დროულად და ხარისხიანად არის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ). ეს გეგმები მორგებულია კონკრეტული ბავშვების შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. პედაგოგები პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ საგანთაშორისო კავშირებს, რაც მოსწავლეებს ცოდნის განზოგადებასა და ფუნქციურად ათვისებაში ეხმარება. აღსანიშნავია მე-2 კლასში განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე „ნივთები ჩვენს ირგვლივ“, სადაც ბუნებისმეტყველებისა და ხელოვნების სტანდარტების ორგანული სინთეზით შეიქმნა დინამიკური, საინტერესო და ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო პროცესი. • სკოლას დოკუმენტის სახით მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები. ეს ადასტურებს, რომ მასწავლებლები გააზრებულად გეგმავენ აქტივობებს სხვადასხვა მზაობის, სწავლის სტილისა და ინტერესის მქონე მოსწავლეებისთვის, რაც ინკლუზიური განათლების მთავარი საფუძველია. სკოლაში არსებული კარგი პრაქტიკა იძლევა შესაძლებლობას, დიფერენცირებისა და

	ინტეგრირებული სწავლების მოდელები კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდეს მაღალ საფეხურებზეც, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სასკოლო საზოგადოების ერთიანობას. ამრიგად, სასწავლო პროცესი პასუხობს ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების მოთხოვნებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალები და რეალური პრაქტიკა ადასტურებს სკოლის მზაობას, უზრუნველყოს თანაბარი საგანმანათლებლო პირობები ყველა მოსწავლისთვის. **რჩევა** • სსსმ მოსწავლეების ისგ გეგმებს თან დაერთოს მათ მიერ შესრულებული დიფერენცირებული/კომპლექსური დავალებების ნიმუშები (მოსწავლის პორტფოლიო), რათა თვალსაჩინო გახდეს მათი პროგრესის დინამიკა სასწავლო წლის განმავლობაში. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნების მიხედვით შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური სასგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმების განხილვისას შეიმჩნევა, რომ ინკლუზიურობისა და დიფერენციაციის საკითხი გარკვეულწილად გათვალისწინებულია, თუმცა არასრულყოფილად. დაწყებით

	საფეხურზე გამოყენებული აქტივობების მრავალფეროვნება, სათამაშო, ვიზუალური, სმენითი და მოძრაობითი ელემენტების ერთობლიობა, ბუნებრივად ქმნის სხვადასხვა სტილით მოაზროვნე მოსწავლეებისთვის ხელსაყრელ სასწავლო გარემოს. საბაზო საფეხურზე კი ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური მუშაობის მონაცვლეობა გარკვეულ მოქნილობას შესძენს სასწავლო პროცესს. **რჩევა:** 3. კურიკულუმებში არ არის პირდაპირ გაწერილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებული სტრატეგიები. ამასთანავე, არ არის გათვალისწინებული არც მაღალი აკადემიური პოტენციალის მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი გამაღრმავებელი დავალებები და არც სასწავლო სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის საჭირო დამხმარე სტრუქტურები. სასურველია ეს ყველაფერი დაემატოს კურიკულუმებშიც. 4. სკოლამ შემოწმებისთვის გადმოაგზავნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი თითოეული მოსწავლის სასწავლო პროფილი, კერძოდ, რა სირთულეები ახასიათებს, რა უნარები გააჩნია განვითარებული და რომელ სფეროებში საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას. ეს გეგმები მოწმობს, რომ სკოლა ინდივიდუალური საჭიროებების პრობლემატიკას ამა თუ იმ დონეზე ითვალისწინებს. 5. უნდა აღინიშნოს რომ გადმოგზავნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ღიად არის მითითებული მოსწავლეთა სახელები და გვარები, რაც წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების უხეშ დარღვევას. მოსწავლის შესახებ მგრძნობიარე სასწავლო ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია და მისი გაზიარება მესამე მხარესთან დასაშვებია მხოლოდ მოსწავლის პირადობის სრული ანონიმიზაციის პირობებში. სასურველია, სკოლამ დაუყოვნებლივ გადახედოს პერსონალური მონაცემების გაზიარების პრაქტიკას და მომავალში ნებისმიერი დოკუმენტაციის გადაგზავნისას უზრუნველყოს მოსწავლეთა საიდენტიფიკაციო

	მონაცემების (სახელი და გვარით იყო ამ შემთხვევაში ფაილი დასახელებული) წინასწარი ამოღება ან დაფარვა. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, ჩართულობას. აქტივობები, შეფასება და რესურსები მორგებულია ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ცოდნა და შემოქმედებითობა გამოხატონ სხვადასხვა ფორმით — ხატვით, მუსიკით, მოძრაობით და სხვა აქტივობებით, რაც ხელს უწყობს მრავალარხიან (ვიზუალურ, სმენით, კინესთეტიკურ და ემოციურ) სწავლებას. ამ მიდგომების ეფექტიანობას განსაზღვრავს მასწავლებლების პროფესიული კომპეტენციები და სკოლის მხარდამჭერი გარემო. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს,რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო,რომ მასწავლებლები ,მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე,ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით.წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდგეგმები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლისათვის მომზადებული ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს.ინდიკატორი **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტებს, ასევე - მოდიფიცირებულ დავალებებს.

	მასწავლებლებმა წარმოადგინეს ის ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიურობას და დიფერენცირებულობას სასწავლო პროცესში. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების სასკოლო კურიკულუმების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოდიფიცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, რაც ვლინდება სხვადასხვა სირთულის ალგორითმების შეთავაზებასა (Scratch) და მრავალფეროვანი მულტიმედიური თუ ვიზუალური რესურსების გამოყენებაში. კურიკულუმში ასახული „ხარაჩოს“ პრინციპი და მოსწავლის პირად კონტექსტზე მორგებული თემატიკა უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ადაპტირებას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და წინარე ცოდნასთან, რაც გარანტირებულად ქმნის თანაბარ წვდომას ხარისხიან განათლებაზე. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, (ისგ და ალტერნატიული სასწავლო გეგმები), სადაც გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, გაწერილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებები. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემის დანერგვის კუთხით კათედრამ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაღალ საფეხურებზე. სკოლა შეფასებას განიხილავს როგორც მოსწავლის მხარდაჭერისა და განვითარების ინსტრუმენტს: • მე-5 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით, კომპლექსური დავალებების შეფასების სისტემა სტრუქტურირებულია. გამონაკლისს წარმოადგენს მე-10 კლასის ქიმიის კომპლექსური დავალება, სადაც გამოყენებულია „სოლო“ (SOLO) ტაქსონომია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს შეფასებაც სისტემურად და სრულად არის მიმართული ყველა სავალდებულო სამიზნე ცნებისკენ. • სკოლას აქვს მყარი, დოკუმენტურად დადასტურებული აკადემიური მხარდაჭერის სისტემა. წარმოდგენილია რემედიაციის ეფექტური პროგრამები (მაგალითად, მე-6 კლასსა და მე-11 კლასში), რაც ამტკიცებს, რომ პედაგოგები შეფასების შედეგებს იყენებენ მოსწავლეთა წინსვლისა და ჩამორჩენის აღმოფხვრისთვის, რაც ესგ-ს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტი სინქრონიზაციისთვის მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებთან, სასურველია ყურადღება მიექცეს დაწყებითი საფეხურის დაბალ კლასებს: 1. პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ატარებს ზოგად ხასიათს. მაგალითად, მე-4 კლასის ზოგად რუბრიკებში არ არის მითითებული კონკრეტული სასწავლო თემა და შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ არ უკავშირდება საგნობრივ სამიზნე ცნებებს. 2. მე-4 კლასის შემოქმედებითი დავალების ბარათში („წყლის წვეთის თავგადასავალი“) და მე-3 კლასის კომპლექსურ დავალებაში („რა ქმნის ამინდს“), შეფასების რუბრიკები მეტწილად აქტივობის შესრულებაზეა ორიენტირებული, ნაცვლად გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნეცნებებისა და სტანდარტის შედეგების ინდიკატორებისა).

	ამრიგად, სკოლაში მოქმედი მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად **შეესაბამება** ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებს. მაღალ კლასებში არსებული პოზიტიური გამოცდილება და მოქმედი რემედიაციის პროგრამები იძლევა მყარ საფუძველს იმისთვის, რომ კათედრამ სამუშაო პროცესში მარტივად მოახდინოს დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკების მოდიფიცირებაც. **რჩევა** • **დაწყებითი საფეხურის რუბრიკების ტრანსფორმაცია:** რეკომენდებულია ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა მე-3 და მე-4 კლასის კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ დაუკავშირონ ესგ-ს სამიზნე ცნებების სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს (აქტივობის შეფასებიდან გადავიდნენ ცნების გაგების შეფასებაზე). • დაწყებითი კლასების შემოქმედებით ბარათებსა და რუბრიკებში ყოველი ახალი თემის დაწყებისას მკაფიოდ მიეთითოს შესაბამისი თემის დასახელება დოკუმენტური სისრულისთვის. • კათედრამ მოაწყოს მოკლე სამუშაო შეხვედრა, სადაც უფროსი კლასების პედაგოგები, რომლებსაც შეფასების სისტემა სამიზნე ცნებებზე აქვთ მიმართული, დაეხმარებიან დაწყებითი საფეხურის კოლეგებს რუბრიკების დახვეწაში. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე განმავითარებელი შეფასება. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. როგორც განმსაზღვრელ, აგრეთვე განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს ახლავს გრაფა მასწავლებლის კომენტარისთვის, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლემ მიიღოს

	ინდივიდუალური უკუკავშირი, გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და დაგეგმოს შემდგომი სასწავლო ნაბიჯები. რჩევა: 2.1.2.5 **დაწყებითი საფეხური:** 3. მიზანშეწონილია, საგნებში მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს (მე-5 კლასის პირველი სემესტრის ფარგლებში) კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. 4. სასურველია, საგანში ჩვენი საქართველო მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, თითოეულ თემაში შესასწავლ საკითხთან მიმართებით შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები როგორც დაწყებითი, ისე საბაზო საფეხურისთვის, რაც მოწმობს შეფასების სისტემის ჩამოყალიბებისადმი გააზრებულ მიდგომას. დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების ბარათები სტრუქტურულად კარგად არის აგებული. SOLO-ს ტაქსონომიაზე დაფუძნებული ოთხი დონე: უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული, მიმართებითი და აბსტრაქტული, ნათლად ასახავს მოსწავლის პროგრესის სხვადასხვა საფეხურს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თითოეული დონისთვის მოცემულია კონკრეტული, პრაქტიკული კომენტარი და გასაუმჯობესებელ მიმართულებათა ნათელი ჩამონათვალი, რაც მოსწავლეს რეალურ ორიენტირს აძლევს შემდგომი განვითარებისთვის. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები მოიცავს კითხვის, წერის და საუბრის უნარებს, რაც კომპლექსური შეფასების საფუძველს ქმნის. თუმცა, კრიტერიუმები ზოგ შემთხვევაში

	ზედმეტად ზოგადი და ბუნდოვანია, რაც ართულებს მათ თანმიმდევრულ და სამართლიან გამოყენებას პრაქტიკაში. კერძოდ: • კითხვის კრიტერიუმებში ფორმულირება „სრულად იგებს" და „იგებს ძირითად ნაწილს" მკაფიოდ არ განსაზღვრავს, კონკრეტულად რა ტიპის გაგება იგულისხმება, ზედაპირული თუ ღრმა, ფაქტობრივი თუ დასკვნითი; • წერის კრიტერიუმებში „მრავალფეროვანი ლექსიკა" და „საკმარისი ლექსიკა" სუბიექტურ შეფასებას ექვემდებარება, ვინაიდან არ არის განსაზღვრული, რა მოცულობა ან სირთულის დონე ითვლება „საკმარისად"; • საუბრის კრიტერიუმებში „ზოგჯერ ყოვნდება" და „ხშირად ყოვნდება" შორის ზღვარი ბუნდოვანია და სხვადასხვა მასწავლებლის მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს განმარტებული. **რჩევები:** სასურველია კრიტერიუმები გახდეს უფრო გაზომვადი და კონკრეტული. მაგალითად: • კითხვის კრიტერიუმს დაემატოს დამხმარე კითხვების ტიპები, რომლებზე პასუხიც ამოწმებს გაგების სხვადასხვა დონეს; • წერაში „ლექსიკის მრავალფეროვნება" შეიძლება დაკონკრეტდეს — მაგალითად, სინონიმების გამოყენება, თემატური ლექსიკის ადეკვატური გამოყენება; • საუბრის კრიტერიუმებს დაემატოს პაუზების სიხშირის ან ხანგრძლივობის კონკრეტული ინდიკატორები. მნიშვნელოვანია, რომ მაღალი დონის — კარგი (4) — კრიტერიუმები გასცდეს მხოლოდ სიზუსტისა და სისრულის შეფასებას და მოიცვას უმაღლესი კოგნიტური უნარების ინდიკატორებიც. კერძოდ, სასურველია მაღალ დონეს დაემატოს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: ტექსტის კრიტიკული გაანალიზება და საკუთარი დასკვნების გამოტანა, ავტორის პოზიციის შეფასება და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრების ჩამოყალიბება,

	სხვადასხვა ტექსტსა თუ იდეას შორის კავშირების დამოუკიდებლად დადგენა, აგრეთვე შეძენილი ცოდნის ახალ, უცნობ სიტუაციებში გადატანისა და გამოყენების უნარი. ეს მიდგომა შეესაბამება ბლუმის ტაქსონომიის უმაღლეს საფეხურებს, ანალიზს, შეფასებასა და შექმნას, და უზრუნველყოფს, რომ შეფასება მხოლოდ დამახსოვრებისა და გაგების გაზომვით არ შემოიფარგლოს, არამედ წაახალისოს მოსწავლეთა ღრმა, კრიტიკული აზროვნების განვითარება. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასება მჭიდროდ უკავშირდება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებით და ასევე ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითობას, აქტიურ მონაწილეობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას. რჩევა: საურველია, შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია უწყვეტი უკუკავშირის, თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლის განვითარებას. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ გადმოგზავნილი შეფასების ინსტრუმენტები ზოგადი ხასიათისაა,ემსახურება მხოლოდ ფუნქციური უნარების გაუმჯობესებას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა,რომ ისინი ხშირად იყენებენ დავალების შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე შეფასებებს.მოსწავლეებს უკუკავშირს აწვდიან ძირითადად ვერბალურად(სიტყვიერი უკუკავშირი)ვიზიტის დროს კათედრამ გადმოაგზავნა კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სამივე საფეხურისათვის.,ასევე საბაზო და საშუალო საფეხურისთვის ჰოლისტური შეფასების რუბრიკები.გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.ინდიკატორი

	რჩევა-შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელეთ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით და ჩამოაყალიბეთ კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით მიზნები,მისაღწევი შედეგები და კრიტერიუმიდან გამომდინარე დაკონკრეტებული მოლოდინები. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ცხრილები, პრეზენტაციის და საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები, საკლასო მუშაობის შეფასების რუბრიკები, თუმცა ეს შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა კონტექსტის მიხედვით (გამონაკლისების გარდა). ვიზიტის დროს მასწავლებლები საუბრობდნენ, რომ იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე. **რჩევა:** სკოლის მიერ წარმოდგენილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს აკლია აკადემიურობა, რაც გულისხმობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რუბრიკების გამოყენებას, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები. სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ესგ-თი განსაზღვრული რუბრიკების შესაბამისად. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	კურიკულუმების ანალიზი და პედაგოგთან ინტერვიუ ადასტურებს სკოლის მზაობას კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სრული თავსებადობისთვის საჭიროა შეფასების სისტემის მეთოდოლოგიური დახვეწა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების პროცესი ამ ეტაპზე მეტწილად ტექნიკურ ელემენტებსა და განმსაზღვრელ ინსტრუმენტებს ეყრდნობა. იმისათვის, რომ შეფასების რუბრიკები გახდეს განვითარებაზე ორიენტირებული და ვალიდურად ასახავდეს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ფორმირების დინამიკას, მნიშვნელოვანია აქცენტების ტრანსფორმაცია და ტექნიკური უნარების ინტეგრირება ფუნქციურ, კოგნიტურ მიზნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების უფრო ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასებას. **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც კრიტერიუმები სტრუქტურირებული იქნება უშუალოდ საგნობრივი სამიზნე ცნებების (მაგ.: „ინფორმაცია“, „(ალგორითმი) პროგრამული კოდი“) გარშემო და არა იზოლირებული ტექნიკური ელემენტების (ვიზუალი, ფონი, ფორმატირება) მიხედვით. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოსწავლის კოგნიტური განვითარების დონეების შინაარსობრივ ასახვას და ცოდნის სამივე კატეგორიის - დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის - სრულფასოვან რეალიზებას. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებს, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, თანდართული ჰქონდეს შესასრულებელი დავალების ბარათები და ამ კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების, სტანდარტის შედეგებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით.

	2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიია;ბრძანება N 2-19 ;18.02.2026*
- *შემოქმედებითი დავალების პირობები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით;*
- *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;*
- *კათედრების სხდომის ოქმები*
- *სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები*
- *სამოქმედო გეგმა 2026-2027 სასწავლო წელი*
- *სტრატეგიული გეგმა- 2026-2033 წ.წ.*

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
- *პროექტები მოქალაქეობაში;*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *მასწავლებლის რეფლექსია*

უცხოური ენები:

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი*

- *ესთეტიკური აღზრდა:*

სახელმწიფო ენა:

- *დაწყებითი.საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კათედრის ოქმები;.*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი.*

ესთეთიკური აღზრდა:

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;*
- *შესრულებული კომპლექსური დავალებები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;*
- *გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. სკოლის დირექტორისა და კოლეგა პედაგოგების მიერ გაკვეთილის შეფასება;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები.*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სპეციალური მასწავლებლების სამოქმედო გეგმები. სპეციალური მასწავლებლების საათობრივი ბადეები. მულტიდისციპლინური ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაცია; სსსმ მოსწავლეების საგნობრივი მონიტორინგები; სსსმ მოსწავლეების ინტერვენციის გეგმები. სსსმ მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრებების ფორმები. სსსმ მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრების ფორმები.*
- *ინტეგრირებული გაკვეთილები;*
- *შემოქმედებითი პროექტები და ფოტოაღწერა;*
- *შემოქმედებითი დავალებები;*
- *ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომების ოქმები;*
- *რესურსების რეესტრი.*

მათემატიკა:

- *სამივე საფეხურის კურიკულუმები მათემატიკაში*
- *ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ნიმუშები*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები*

- *გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელოების და ელექტრონული რესურსების ნუსხა*
- *კათედრის სამუშაო გეგმა და სხდომის ოქმები*

სპორტი:

- *კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;*
- *კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;*
- *კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს.წ.;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*

ტექნოლოგიები:

- *კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *კომპექსური დავალების ბარათები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელებული აქტივობები და ფოტო-ვიდეო მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სრულად და ეფექტურად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლა წარმატებით ახდენს აკადემიური სწავლებისა და არაფორმალური განათლების სინთეზს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ამ მიმართულებით სკოლის პრაქტიკა სამაგალითოა და მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს: • საბუნებისმეტყველო კათედრის ინიციატივითა და ორგანიზებით სკოლაში ხორციელდება მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 8-კვირიანი კომპლექსური პროექტი **„ნარჩენების მართვის მოდელი ჩვენს სკოლაში“**, რომელშიც ჩართულია I-XII კლასების სრული სასკოლო საზოგადოება (მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები). პროექტი ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერზე, ეკო-ცნობიერების ამაღლებასა და სკოლის გარემოს გაუმჯობესებაზე. • **საგნობრივი ინტეგრაცია და პრაქტიკული ვორქშოფები:** დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ერთიანი სასკოლო კვირეული — **„მწვანე ნაბიჯები დედამიწისთვის“** / **„ჩვენი პლანეტა ჩვენს ხელშია“** — წარმოადგენს საბუნებისმეტყველო საგნების (ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია) ორგანული სინთეზის საუკეთესო ნიმუშს. კვირეულის ფარგლებში მოწყობილი თემატური ვორქშოფები მოსწავლეებს ეხმარება გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების გააზრებასა და კვლევითი უნარების განვითარებაში. • საგნობრივი კათედრა, სპეციალურ მასწავლებელთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიზანმიმართულად გეგმავს და ახორციელებს სოციალური ხასიათის პროექტებს (მაგალითად, **აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე** და **დაუნის**

	სინდრომის მსოფლიო დღე). აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს სკოლაში პოზიტიური, ემპათიური და მზრუნველი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც თითოეული მოსწავლის უნიკალურობა დაცული და აღიარებულია. **მტკიცებულებები:** სკოლის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტების დეტალური და შინაარსობრივად გამართული გეგმები. აქტივობების რეალურობა და სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობა დადასტურებულია მდიდარი და თვალსაჩინო **ფოტო და ვიდეო მასალით**, რაც ასახავს სასწავლო პროცესის დინამიკურობას. ამრიგად, მოცემული კრიტერიუმი ფასდება როგორც **სრულ შესაბამისობაში მყოფი**. სკოლის მიერ შემუშავებული და რეალიზებული პროექტები სრულად პასუხობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის იდეალებს — აღზარდოს აქტიური, პასუხისმგებლიანი, ეკო-ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე. **რჩევა:** • სასურველია, ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში შემუშავებული მოდელი (მაგალითად, სეპარირების ან გარემოს მოვლის კუთხით) სკოლამ აქციოს ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების მუდმივ ტრადიციად და პრაქტიკად. • არსებული მდიდარი ფოტო-ვიდეო მასალის ბაზაზე, მოსწავლეების ჩართულობით, შესაძლებელია შეიქმნას მოკლე ელექტრონული ჟურნალი ან სკოლის ეკო-ბლოგი, რაც კიდევ უფრო აამაღლებს სკოლის ავტორიტეტსა და პოპულარიზაციას რეგიონში. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მოიცავს საფეხურის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, საკითხებსა და შესაბამის სასწავლო რესურსებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნისა და

	უნარებისა განვითარებაზე. მოსწავლე არის აქტიური, შემოქმედი და კრიტიკულად მოაზროვნე, რაც ძირითადად მიიღწევა შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმთან, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე მასწავლებელთა გასაუბრების დროს გამოთქმული მოსაზრებებით. კურიკულუმში გაწერილი დავალებები, მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, თემატური სწავლების პრინციპი, კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები ერთობლივად ქმნიან ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა კომუნიკაციური კომპეტენციის, შემოქმედებითი პოტენციალისა და კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობების თანმიმდევრული და მიზანმიმართული განვითარებისაკენ. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის მიზნები სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. გაკვეთილში ფორმულირებული ამოცანები მკაფიოდ უკავშირდება კურიკულუმის შედეგებს და გამოიყენება შესაბამისი ტერმინოლოგია. სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულად უწყობს ხელს მოსწავლეთა უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, როგორებიცაა: ინტეგრაცია, მრავალფეროვნება და კულტურული კონტექსტის გათვალისწინება. რჩევა: გაკვეთილის პროცესის შეფასება, სასურველია, განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეთა აქტიურობისა და ჩართულობის ანალიზის საფუძველზე. ეს უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის უფრო სრულყოფილ და ობიექტურ შეფასებას. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით.კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს და მიღებულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. განხორციელებული აქვთ სასწავლო შემოქმედებითი პროექტი, მაგ-,,ასე უყვარდათ თურმე...“ პროექტი-,,ადამიანი და გარემო“,“.პროექტების შესახებ მასწავლებლებმა ისაუბრეს ინტერვიუს დროს ინდიკატორი **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე, რის დასტურადაც კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, ვიზიტის დროს მასწავლებლებმა წარმოგვიდგინეს ის ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის

	საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	პედაგოგთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების დაცვით. ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი თანმიმდევრულად მიჰყვება კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ გეგმას. თითოეული კლასისთვის შერჩეული საკითხები (მაგ: პირობითი ნიშნები II კლასში, ვიზუალური პროგრამირება IV კლასებში და რთული ალგორითმები V-VI კლასებში) ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კომპლექსურ დავალებებზე (მაგ: „კიბერუსაფრთხოება“, „გადავარჩინოთ დედამიწა“), რაც უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფერს. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ, კურიკულუმებში გაწერილია უფრო მეტი დავალება, ვიდრე რეალურად ხორციელდება. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში აისახოს იმდენი შემოქმედებითი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ სკოლა რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური პროგრესისა და საჭიროებების შესახებ, მიღებული მონაცემების საფუძველზე, ახორციელებს მიზანმიმართულ ცვლილებებს სასწავლო პროცესში. სკოლა იჩენს მოქნილობას, როგორც სასწავლო თემების შერჩევისას, ისე მეთოდური

მიდგომების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში იცვლება სწავლების ტემპი, გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები და დამატებითი აქტივობები (რემედიული სწავლება, საკლასო დახმარება). სკოლა აქტიურად რეაგირებს მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ საჭიროებებზე, იყენებს მშობლებთან კოორდინაციას, რაც ხელს უწყობს პრობლემების ადრე იდენტიფიკაციას და მათზე რეაგირებას.

2.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს და მიზნად ისახავს ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს შემდეგ პოზიტიურ ტენდენციებს: • მე-5 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით, კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესი ორგანიზებული და გამჭვირვალეა. აღსანიშნავია მე-10 კლასის ქიმიის კომპლექსური დავალების შეფასება: მიუხედავად იმისა, რომ იგი ეფუძნება ტრადიციულ „სოლო“ (SOLO) ტაქსონომიას, რუბრიკა ვალიდური და სანდოა, ვინაიდან იგი შინაარსობრივად მიემართება და სრულად ფარავს თემასთან დაკავშირებულ ყველა სავალდებულო სამიზნე ცნებას. • შეფასების სისტემის სამართლიანობასა და მოსწავლეზე ორიენტირებულობაზე მიუთითებს მოქმედი და მყარად დოკუმენტირებული რემედიაციის პროგრამები (მაგალითად, მე-6 და მე-11 კლასებში). ეს ადასტურებს, რომ შეფასება არ ატარებს მხოლოდ მაკონტროლებელ ფუნქციას; პირიქით, რეალური მონაცემების საფუძველზე სკოლა ობიექტურად ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს და სთავაზობს მათ აკადემიური მხარდაჭერის გამჭვირვალე გზებს. შეფასების კრიტერიუმების ვალიდურობისა და მოქმედ ესგ-სთან სრული მეთოდოლოგიური თავსებადობის კიდევ უფრო ასამაღლებლად, მიზანშეწონილია სამუშაო პროცესში გარკვეული ასპექტების დაზუსტება:

	1. პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით არსებული შეფასების რუბრიკები მეტწილად ზოგადი ხასიათისაა. მაგალითად, მე-4 კლასის ზოგად რუბრიკებში, ისევე როგორც კონკრეტულ შემოქმედებით ბარათებში (მაგ: „წყლის წვეთის თავგადასავალი“), შეფასების კრიტერიუმები ფოკუსირებულია უშუალოდ აქტივობის შესრულებაზე და ნაკლებად მიემართება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებს). 2. შეფასების ინსტრუმენტების გამჭვირვალობისთვის სასურველია I-IV კლასების რუბრიკებში ყოველთვის მკაფიოდ ფიქსირდებოდეს შესასწავლი თემა , რაც მოსწავლისა და მშობლისთვის შეფასების პროცესს უფრო გასაგებსა და სამართლიანს გახდის. ამრიგად, კათედრაზე მოქმედი შეფასების სისტემა ძირითადად **პასუხობს** ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს. მაღალ საფეხურებზე არსებული წარმატებული პრაქტიკა და რემედიაციის მყარი გამოცდილება იძლევა სრულ შესაძლებლობას, რომ მიმდინარე სამუშაო რეჟიმში, კოლეგიალური მხარდაჭერით, დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკებიც მოვიდეს სრულ შესაბამისობაში ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან. **რჩევა:** • დაწყებითი საფეხურის (მე-3, მე-4 კლასების) პედაგოგებმა შემოქმედებითი დავალებების შეფასების კრიტერიუმები გადააწყონ ისე, რომ ფასდებოდეს არა მხოლოდ პროდუქტის შექმნა (მაგ. ბუკლეტის ან ზღაპრის დაწერა), არამედ იმის გააზრება, თუ როგორ უკავშირდება ეს სამუშაო შესაბამის სამიზნე ცნებებს. • კურიკულუმის შეფასების ნაწილში თითოეულ რუბრიკას თავშივე მკაფიოდ დაეწეროს კონკრეტული თემის სახელწოდება, რათა დოკუმენტი იყოს სტრუქტურულად სრულყოფილი და მარტივად წასაკითხი. • კათედრის ფარგლებში მოეწყოს მცირე სამუშაო შეხვედრა, სადაც საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლები გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას დაწყებითი საფეხურის კოლეგებს ესგ-ს ინდიკატორებზე მიმართული შეფასების სქემების შექმნაში. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი შეფასების სისტემის განხილვა ცხადყოფს, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს შეფასების გარკვეული სტრუქტურა, თუმცა თითოეული ზემოაღნიშნული პარამეტრის კუთხით გამოიკვეთა როგორც ძლიერი მხარეები, ისე სრულყოფის საჭიროებები. შეფასების სისტემა ძირითადად ვალიდურია იმ თვალსაზრისით, რომ კრიტერიუმები უკავშირდება კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს, კითხვის, წერის, საუბრისა და მოსმენის უნარებს. SOLO-ს ტაქსონომიაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების ბარათები კარგად ასახავს მოსწავლის კოგნიტური განვითარების სხვადასხვა საფეხურს. გამჭვირვალობის თვალსაზრისით, განმავითარებელი შეფასების ბარათები პოზიტიურად გამოირჩევა, თითოეული დონისთვის მოცემულია კონკრეტული აღწერილობა და მოსწავლისთვის გასაგები კომენტარი. ეს მოსწავლეს საშუალებას აძლევს გაიგოს, სად იმყოფება და რა მიმართულებით უნდა განვითარდეს. შეფასების სანდოობა ანუ სხვადასხვა მასწავლებლის მიერ ერთი და იმავე ნამუშევრის თანმიმდევრული შეფასების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია. განმავითარებელი შეფასების ბარათების დეტალური აღწერილობები სანდოობას ამაღლებს, თუმცა განმსაზღვრელი კრიტერიუმების სუბიექტური ხასიათი „ზოგჯერ ყოვნდება", „ხშირია შეცდომები" და მსგავსი ფორმულირებები სხვადასხვა მასწავლებლის მხრიდან განსხვავებულ ინტერპრეტაციას იწვევს.

	რჩევა: სანდოობის გასაზრდელად რეკომენდებულია ნიმუშების ე.წ. anchor papers-ის შემუშავება, რომლებიც თითოეული დონის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს. ეს არის კონკრეტული, რეალური ნამუშევრები, წერილობითი დავალება, ჩაწერილი პრეზენტაცია, ან შევსებული სავარჯიშო, რომლებზეც მასწავლებლები წინასწარ შეთანხმდნენ და დაადასტურეს: „სწორედ ეს ნამუშევარი შეესაბამება მე-4 დონეს", „სწორედ ეს — მე-3 დონეს" და ა.შ. შედეგად, ყოველ ახალ ნამუშევარს მასწავლებელი ამ ეტალონებს ადარებს და არა საკუთარ სუბიექტურ წარმოდგენას. ობიექტურობის კუთხით შეფასების სისტემა საჭიროებს გაძლიერებას. საუბრის კრიტერიუმების ნაწილი დიდწილად მასწავლებლის სუბიექტურ განსჯაზეა დამოკიდებული რადგან შეფასების ფორმებში არ არის მოცემული საუბრისკონკრეტულად გაზომვადი ინდიკატორები, თუმცა გასაუბრების დროს მასწვალებლებმა კარგად განმარტეს ეს. **რჩევა**: სასურველია მიეთითოს რომ საუბრის შეფასებისას გაზომვადი ინდიკატორები, მაგალითად, წუთში წარმოთქმული სიტყვების რაოდენობა, პაუზების ხანგრძლივობა ან კონკრეტული გრამატიკული კონსტრუქციების სწორი გამოყენების სიხშირე. ობიექტურობის ამაღლებისთვის სასურველია შეფასების რუბრიკების კიდევ უფრო დეტალიზება და გაზომვადი ინდიკატორებით გამდიდრება. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	. შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად გამოიყენება მრავალფეროვანი ფორმები — ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური და შემოქმედებითი. პედაგოგები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და

	პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ,გამჭვირვალე, სანდო,ობიექტურ და სამართლიან შეფასებას,რადგან შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს,არის წინასწარ შემუშავებული და მორგებული კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს. ინდიკატორი **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები და მოცემული თემის შესაბამისი ტესტები, სადაც დავალებებს მინიჭებული აქვს ქულები. ასევე, სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც აკლია მკაფიოობო და მოცემული თემის შეფასების ესგ-თი განსაზღვრულობა. **რჩევა:** სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების პრაქტიკა საჭიროებს შემდგომ მეთოდოლოგიურ განვითარებას, რათა იგი სრულად დაეფუძნოს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს. იმისათვის, რომ შეფასების სისტემა ადეკვატურად ზომავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, აუცილებელია წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები უფრო მჭიდროდ და ვალიდურად მიემართებოდეს საგნობრივ სამიზნე

	ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. კრიტერიუმების მეტი სანდოობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია აქცენტის გადატანა იზოლირებული ტექნიკური ელემენტების მექანიკური შემოწმებიდან მოსწავლის კოგნიტური და ფუნქციური უნარების კომპლექსურ შეფასებაზე. **რჩევა:** სასურველია სკოლამ პრაქტიკაში დანერგოს მრავალმხრივი, განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, სადაც ტექნიკური და დიზაინერული უნარები (ფონი, გრაფიკა, ფორმატირება) ინტეგრირებული იქნება ფუნქციურ მიზნებთან. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასებისას სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი.ყველა მოსწავლე ფასდება თანაბარ პირობებში. ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემას გააჩნია ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების პროცესს კოორდინაციას თავად დირექტორი უწევს. შეფასების შედეგების განხილვა ხდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე პედაგოგიურ საბჭოზე. გამოიყენება უკუკავშირის ფორმები და მონიტორინგის ჩანაწერები, რის საფუძველზეც ხდება რეაგირება გამოვლენილ საჭიროებებზე.

2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა სისტემატიურად აღრიცხავს და ინახავსშეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მათ შორის მოსწავლეთა შემაჯამებელი შეფასების ჩანაწერებს, შეფასების რუბრიკებს, ტესტებსა და რეფლექსიის ფურცლებს. აღნიშნული მასალები ინახება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონური სახით დირექტორისა და შესაბამისი მასწავლებლების მიერ. წინა წლების მასალები ხელმისაწვდომია.

2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- *განხორციელებული პროექტების გეგმები.*
- *ფოტო და ვიდეო მასალა, რაც ასახავს სასწავლო პროცესის დინამიკურობას.*
- *შემოქმედებითი დავალებების ბარათები*
- *რემედიაციის ანგარიშები*
- *საქაღალდე :,,დირექტორის შეფასება“*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუშები შეფასების რუბრიკით და ანალიზით*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმის ანალიზი*
- *ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია*

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*

უცხოური ენები:

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი*

ესთეტიკური აღზრდა:

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;*
- *შესრულებული კომპლექსური დავალებები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;*
- *გაკვეთილის გეგმები. პედაგოგის რეფლექსია. სკოლის დირექტორის მიერ პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება; პროექტები.*

სახელმწიფო ენა:

- *დაწყებითი.საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კათედრის ოქმები;.*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი.*
- *კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო რესურსები.*

მათემატიკა:

- *სამივე საფეხურის კურიკულუმები მათემატიკაში*
- *ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ნიმუშები*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები*
- *გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელოების და ელექტრონული რესურსების ნუსხა*
- *კათედრის სამუშაო გეგმა და სხდომის ოქმები*

სპორტი:

- *კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;*
- *კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;*
- *კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;*
- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *კათედრის ანგარიში;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს.წ.;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;*

ტექნოლოგიები:

- *კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენების პრაქტიკა შეესაბამება საგნობრივი პროგრამების მოთხოვნებს. ინფრასტრუქტურული ფორსმაჟორის (სასკოლო ლაბორატორიის დაზიანება ხანძრის შედეგად) და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირის მიუხედავად, კათედრამ უზრუნველყო საგაკვეთილო პროცესის მეთოდოლოგიური უწყვეტობა: • სასწავლო პროცესის მიზნებისა და საგნობრივი სტანდარტების შესრულების უზრუნველსაყოფად, მოხდა კურიკულუმების ადაპტაცია არსებულ პირობებთან. ქიმიის სწავლებისას პრაქტიკაში პერიოდულად გამოიყენება მიკროქიმიური მეთოდი, რაც მინიმალური მატერიალური მასალების პირობებშიც იძლევა კვლევითი უნარების განვითარების შესაძლებლობას. • სასწავლო კურიკულუმებში მიზანმიმართულად არის გაწერილი ისეთი ექსპერიმენტები, რომლებიც არ საჭიროებს რთულ ინფრასტრუქტურას. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ახორციელებენ უსაფრთხო, სადემონსტრაციო ხასიათის ცდებს, რაც ხელს უწყობს თეორიული მასალის ვიზუალიზაციას და მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების მხარდაჭერას. ამრიგად, მოცემული კრიტერიუმი ფასდება როგორც **შესაბამისობაში მყოფი**. სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრამ, არსებული ობიექტური გამოწვევების გათვალისწინებით, ალტერნატიული და უსაფრთხო საგაკვეთილო მიდგომების (მიკროქიმია, სადემონსტრაციო მოდელირება) დანერგვით უზრუნველყო კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე რესურსების ფუნქციური და პრაქტიკული გამოყენება. **რჩევა:** • მიზანშეწონილია კათედრის მიერ მიკროქიმიური მეთოდებისა და უსაფრთხო სადემონსტრაციო ცდების აღწერილობების ფორმატში მოყვანა და მათი ასახვა კურიკულუმის დანართის სახით, შიდა სასკოლო პრაქტიკის სტანდარტიზაციისთვის.

	• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულ აღდგენამდე, პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად რეკომენდებულია საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე ინტერაქციული ვირტუალური ლაბორატორიებისა და სიმულაციური პროგრამების (მაგ. *PhET Simulations*) უფრო ინტენსიური ინტეგრირება. • საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ მოამზადოს ერთი მოკლე საინფორმაციო ფურცელი/ცხრილი, სადაც თავმოყრილი იქნება საფეხურების მიხედვით გამოყენებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს ზუსტი დასახელება და ავტორთა შემადგენლობა. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოიყენება. მასწავლებლები ეფექტურად აერთიანებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს სხვადასხვა დამხმარე ციფრულ, ვიზუალურ და დამატებით საგანმანათლებლო რესურსებთან, რაც სასწავლო პროცესს მეტად მრავალფეროვანსა და მოსწავლეზე ორიენტირებულს ხდის. ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესში ინტერნეტ რესურსების გამოყენებისთვის აქვს შესაბამისი ტექნიკა და ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმებში მითითებული რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და აუდიო-ვიდეო მასალები რეალურად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. **რჩევა**: მასწავლებლის მიერ შექმნილი მასალების დამატება კარგი იქნება თუ კურიკულუმში გამოჩნდება, რომ მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში თავადაც ქმნის დამხმარე

	მასალებს, სამუშაო ფურცლებს, ვიზუალურ დამხმარეებს და სხვა, რაც მხოლოდ მე-12 კლასის კურიკულუმსი არის გათვალისწინებული. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სწავლება ეფუძნება მეთოდურ ლიტერატურას, ციფრულ მასალებს, აუდიო-ვიდეო რესურსებსა და პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ინვენტარს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო სივრცე უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობისთვის შესაბამის პირობებს, ხოლო მოსწავლეთა ნამუშევრების შენახვა დამატებით მხარს უჭერს შემოქმედებით პროცესს. რჩევა: სასურველია, სკოლამ გააძლიეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც შემოქმედებითი საქმიანობის კიდევ უფრო მრავალფეროვან განვითარებას შეუწყობს ხელს. **2.2.2.1ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსები საკითხების შესაბამისად, რიგ შემთხვევაში დაკონკრეტებულია სახელმძღვანელოების ავტორები, გვერდები და ელექტრონული რესურსების ბმულები.რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებით, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში.

	რჩევა: სასურველია, კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს მოცემული საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსებით. სწავლება ეფუძნება რესურსებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც დასტურდება შემდეგით: აქტიურად გამოიყენება school.emis.ge და Scratch .ინტეგრირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული რესურსები: Paint 3D, „ვსწავლობთ თამაშით“, Code.org და Microsoft Office 365 .მასწავლებელი იყენებს საკუთარ ციფრულ ნიმუშებსა და მულტიმედიურ რესურსებს კომპლექსური დავალებების მხარდასაჭერად.გამოყენებული რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **2.2.2.1ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. ასევე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლები იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით მატერიალურ, აუდიო და ვიდეო რესურსებს. რესურსები მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

	რჩევა: სასურველია, ოთხივე საგნობრივი მიმართულებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას მრავალფეროვაანი მატერიალური და ელექტრონული რესურსები. **2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე სასწავლო პროცესის დამხმარე რესურსებით უზრუნველყოფა და მათი ვალიდაციის პრაქტიკა ნაწილობრივ პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი მასალების დოკუმენტური ანალიზით იკვეთება შემდეგი გარემოებები: • კურიკულუმებში ინტეგრირებული დამხმარე ელექტრონული და მულტიმედიური მასალები (სასწავლო ვიდეორესურსები) შინაარსობრივად ვალიდურია. ყველა მითითებული ბმული (ლინკი) არის მუშა მდგომარეობაში, თავისუფლად იხსნება და ფუნქციურად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტების მიზნებს. • რესურსების ოფიციალური ვალიდაციისა და აღრიცხვიანობის კუთხით ფიქსირდება გარკვეული ხარვეზები. კათედრის მიერ ცალკე დოკუმენტის სახით არ ყოფილა წარმოდგენილი გამოყენებული გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ერთიანი, დამოწმებული ნუსხა. • მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის საწყის (ვიზიტამდე წარმოდგენილ) ვერსიაში სახელმძღვანელოს ავტორებად მითითებულნი იყვნენ „ბლიაძე, ახვლედიანი“, ხოლო ვიზიტის შემდგომ პერიოდში გადმოგზავნილ კორექტირებულ ვარიანტში სასწავლო რესურსად დაფიქსირდა სხვა ავტორთა გუნდი („ვარდიაშვილი, ჭელიძე, ავალიანი, გედენიძე“). აღნიშნული მიუთითებს კურიკულუმის სამუშაო ვერსიებს შორის რესურსების ვალიდაციისა და შიდა მონიტორინგის პროცესის დახვეწის საჭიროებაზე. ამრიგად,მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმებში მითითებული დამხმარე ელექტრონული მასალები პრაქტიკულად ვალიდურია, სასკოლო სახელმძღვანელოების ოფიციალური აღრიცხვა და სამუშაო დოკუმენტებში მონაცემთა მუდმივობა საჭიროებს სტრუქტურულ მოწესრიგებას. **რჩევა:**

	• საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ შეიმუშაოს და ოფიციალურად დაამტკიცოს საფეხურებისა და კლასების მიხედვით გამოყენებული ყველა ძირითადი (გრიფირებული) და დამხმარე სახელმძღვანელოს/მასალის ერთიანი ნუსხა. • კურიკულუმების საბოლოო ვერსიების დამტკიცებამდე, კათედრის თავმჯდომარემ უზრუნველყოს დოკუმენტში მითითებული ავტორების იდენტურობა რეალურად გამოყენებულ სასწავლო რესურსებთან, რათა გამოირიცხოს მონაცემთა შეუსაბამობა სამუშაო ვერსიებში. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი N1-ელი ოქმისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, ცხადია, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურსთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს ყველა საფეხურზე, რაც თავისთავად რესურსის ვალიდაციის მთავარი გარანტიაა. დამხმარე მასალები, აუდიო-ვიდეო რესურსები, სამუშაო ფურცლები და ონლაინ მასალები შერჩეულია სახელმძღვანელოსთან შესაბამისობის პრინციპით, რაც მათ სანდოობას უზრუნველყოფს. კათედრაზე კურიკულუმის განხილვისა და გადახედვის პრაქტიკა კი დამატებით გარანტიას ქმნის იმისა, რომ გამოყენებული რესურსები შეფასებულია და დამტკიცებული კოლეგიალურად. **.2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია საგნობრივ სასწავლო გეგმებთან. მათი შერჩევის პროცესში აქტიურად არის ჩართული საგნის პედაგოგი, ხოლო გამოყენებამდე რესურსები განიხილება და შეთანხმდება სკოლის ადმინისტრაციასთან. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე.ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ რესურსებს შერჩევას გააგრძელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.ინდიკატორი **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(კათედრის მუშაობის ოქმი და კათედრის სამუშაო გეგმა), საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, როგორ მიმდინარეობს კათედრის მუშაობა რესურსების შერჩევის და ვალიდაციის პროცესში. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება შინაარსობრივი და ტექნიკური გამართულობის პრინციპით. პროცესის ანალიზი აჩვენებს შემდეგს: კურიკულუმში ინტეგრირებული დამხმარე პლატფორმები (მაგ: Code.org, Paint 3D) ვალიდირებულია მასწავლებლის მიერ მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით. რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. მასწავლებელი თავად ქმნის და იყენებს დამხმარე ვიზუალურ მასალებს. ეს რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ტექნოლოგიურ მზაობასა და სკოლის კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას. საგნობრივ კათედრაზე ხდება ციფრული რესურსების (ბმულები, საგანმანათლებლო პროგრამები) გაზიარება და მათი ეფექტურობის ანალიზი. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმებში მითითებული რესურსების მრავალფეროვნებითა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

	რჩევა: სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ვალიდაციის პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალმხრივ შეფასებას, ხარისხის კონტროლსა და გამოყენების მიზნობრიობას. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ზრდის რესურსების სანდოობას და ეფექტიანობას სასწავლო პროცესში. ამასთან, პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ რესურსების ადაპტირებას კონკრეტული კლასის ან მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგაკვეთილო სივრცეები ამჟამად იმყოფება მოდიფიცირების რეჟიმში ინფრასტრუქტურული ფორსმაჟორის (ხანძრის) გამო. აღნიშნულმა ობიექტურმა ფაქტორმა გავლენა მოახდინა როგორც სასწავლო

	ფართის განაწილებაზე, ისე საბუნებისმეტყველო საგნების სპეციფიკური კომპონენტების განხორციელებაზე: • ხანძრის შედეგად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დაზიანებამ გამოიწვია საკლასო ოთახების ნაკლებობა. სივრცის სიმცირისა და სპეციფიკური ინფრასტრუქტურის არარსებობის პირობებში, კათედრა ცდილობს შეინარჩუნოს პრაქტიკული კომპონენტი, თუმცა უსაფრთხო სადემონსტრაციო ცდები ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში ტარდება პერიოდულად, არსებული მწირი მატერიალური რესურსების მაქსიმალური მობილიზებით. • არსებული გამოწვევის საპასუხოდ, ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის (მერიის) წარმომადგენლებთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საავტორიზაციო ჯგუფის წევრებმაც. შეხვედრაზე მოხდა სკოლის მატერიალური საჭიროებების იდენტიფიცირება და განისაზღვრა ლაბორატორიისა და სასწავლო სივრცეების სრული აღდგენა-აღჭურვისთვის აუცილებელი ნაბიჯები, რაც ადასტურებს პრობლემის აღმოფხვრის მიზნით დაწყებულ ორგანიზებულ ადმინისტრაციულ პროცესს. ამრიგად, მოცემული კრიტერიუმი ფასდება როგორც შეუსაბამო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არსებული მატერიალური გამოწვევების ფარგლებში ცდილობს სწავლის შედეგების მიღწევას, ინფრასტრუქტურული დაზიანებები და საკლასო ოთახების დეფიციტი საჭიროებს დროულ რეაგირებას. ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად დაწყებული საჭიროებების განსაზღვრის პროცესი ქმნის მყარ საფუძველს მატერიალური ბაზის უახლოეს პერიოდში სრულად აღდგენისთვის. სკოლასთან მიმართებაში დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც ხანძრის შედეგად განადგურდა. რაც არის აუცილებელი საბუნებისმეტყველო საგნებში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის და კურიკულუმით განსაზღვრული კვლევითი აქტივობების განხორციელებისათვის. ამასთან დაკავშირებით სკოლამ აიღო ვალდებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 2027 წლის 15.09-მდე მოაგვაროს საკითხი.

	სკოლას მიეცა <u>**რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში-15.09.2027 -წლამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვრული ფართის რეაბილიტაცია და სტანდარტების შესაბამისად მოწყობა/აღჭურვა.**</u> **2.2.2.3ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). **2.2.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომელიც ყველა კურიკულუმშია მითითებული, საკმარისია დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. საკლასო გარემო იძლევა როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობის საშუალებას, ხოლო აუდიო-ვიდეო აღჭურვილობა უზრუნველყოფს მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარებას. **2.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	გაკვეთილის პროცესში ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა იმუშაოს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, სასწავლო რესურსების გამოყენებით. ჯგუფის ზომა არის ოპტიმალური და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ ორგანიზებასა და ხარისხიან წარმართვას. **2.2.2.3ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ სკოლაში არსებული რესურსები.

	2.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს, რომელიც სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია. ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს და სახალისოს ქმნის და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **2.2.2.3ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, ყველა მოსწავლე დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. **2.2.2.3ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთა ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა გარანტირებულია ადეკვატური მატერიალური და ციფრული რესურსებით. ინტერვიუების დროს ხაზი გაესვა ვირტუალური ლაბორატორიებისა და სიმულაციების (მაგ: Code.org) აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლები ეფექტურად იყენებენ ვიდეო ექსპერიმენტებსა და ციფრულ სადემონსტრაციო მასალებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალგორითმული აზროვნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას.მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენონ სკოლის ტექნიკური ბაზა არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ შემოქმედებითი პროექტების (მაგ: ანიმაციების შექმნა, პრეზენტაციების მომზადება) განსახორციელებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას „კეთებით სწავლების“ პრინციპით. **2.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **2.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.2.2.3.ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.2.4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებული პედაგოგები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სასწავლო საათები განაწილებულია ეფექტურად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულფასოვან განხორციელებას.

2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *უკუკავშირის ფორმები;*
- *მოსწავლეთა შეფასების ჟურნალი (ელექტრონული/ბეჭდური);*
- *წინა წლების ტესტები, შეფასების რუბრიკები,შეფასებითი დოკუმენტები;*
- *პედაგოგთა სია და სქემის სტატუსები;*
- *დიპლომების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *საგაკვეთილო ბადე და განრიგი;*
- *ხელშეკრულებები/ბრძანებები დანიშვნის შესახებ;*
- *კურიკულუმთან შესაბამისი დატვირთვის ცხრილი.*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- *ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაცია*

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);*

- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*

უცხოური ენები:

- *საგნობრივი კურიკულუმი (თითოეული საგნისა და კლასისთვის სამივე საფეხურზე)*
- *სამოქმედო გეგმა და კათედრის სხდომის ოქმები*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები*

ესთეტიკური აღზრდა:

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შესრულებული კომპლექსური დავალებები;*
- *განმსაზღვრელი და გ*
- *ანმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;*
- *გაკვეთილების გეგმები. პედაგოგის რეფლექსია.;*
- *პროექტები;*
- *ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომების ოქმები;*
- *რესურსების რეესტრი.*

სახელმწიფო ენა:

- *დაწყებითი.საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კათედრის ოქმები;.*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი.*
- *კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო რესურსები.*

მატემატიკა:

- *სამივე საფეხურის კურიკულუმები მათემატიკაში*
- *ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ნიმუშები*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები*
- *გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელოების და ელექტრონული რესურსების ნუსხა*
- *კათედრის სამუშაო გეგმა და სხდომის ოქმები*

სპორტი:

- *კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;*
- *კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;*
- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *კათერის ანგარიში;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს.წ.;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;*

ტექნოლოგიები:

- *კომპიუტერული ლაბორატორია*
- *კურიკულუმები*
- *განხორციელებული პროექტები*
- *ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლა უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას იმ მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში. გამოყენებულია დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი შეფასების ფორმები, რეფლექსიისა და უკუკავშირის მექანიზმები. შეფასების პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით მიმდინარეობს და შედეგები გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება სირთულეების დასაძლევად. მონიტორინგის შედეგების მიხედვით სკოლა გეგმავს ცვლილებებს სწავლა-სწავლების პროცესში, კერძოდ სწავლების ტემპში, მეთოდებსა და დამატებით აქტივობებში.

2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლა იყენებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად. ხდება მხარდაჭერის დაგეგმვა ინდივიდუალური კონსულტაციებით, დამატებითი აქტივობებით.

2.3.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმები;*
- *შეფასების ინსტრუმენტები (ტესტები, რუბრიკები, ბარათები);*
- *მოსწავლეთა შედეგების ანალიზი;*
- *პედაგოგიური საჭოს ოქმები;*
- *სასწავლო გეგმაში ასახული ცვლილებები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა იყენებს სხვადასხვა წყაროს : წერით დავალებებს, ზეპირ პასუხებს, პროექტებს, დაკვირვებას, თვითშეფასებას და რეფლექსიას, რაც იძლევა მოსწავლეთა პროგრესის სრულფასოვან სურათს.

2.3.2.1ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლა მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებს მრავალფეროვან გარემოებებში – როგორც საკლასო, ისე არაფორმალურ და პროექტზე დაფუძნებულ აქტივობებში. შედეგები მოიცავს სხვადასხვა ტიპის ამოცანებზე, რეალურ ან პრაქტიკულ კონტექსტში განხორციელებულ საქმიანობებზე დაფუძნებულ შეფასებებს.

2.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეთა შეფასებისათვის სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: დაკვირვება, ანალიზი,წერითი დავალებები, ზეპირი პასუხები, ტესტები, თვითშეფასება და რეფლექსია.

2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, წინარე ცოდნას, სწავლის ტიპს, ინტერესებსა და სოციალურ კონტექსტს. ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სამართლიანობასა და ადეკვატურობას.

2.3.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეფასების ფორმები და რუბრიკები;*
- *პროექტები სამივე საფეხურზე;*
- *საკლასო დაკვირვების ჩანაწერები;*
- *არაფორმალური აქტივობების შეფასებები;*
- *დიფერენცირებული დავალებები;*

- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლაში კურიკულუმის განხორციელების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება დავალების პირობის შინაარსის, მეთოდებისა და რესურსების გაუმჯობესება. აღნიშნული საჭიროებები განიხილემა კათედრებზე და ხდება მათი ასახვა შემდეგი წლის კურიკულუმში.

2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა კურიკულუმის გადამუშავებისას ითვალისწინებს წინა წლის ანალიზს, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, მათ შორის მოსწავლეთა საჭიროებებსა და მასწავლებელთა უკუკავშირს. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ასახავს მასწავლებელთა პრაქტიკიდან მიღებულ გამოცდილებას.

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *კათედრის ოქმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 23.06.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნანა ვარდმანიძე

ლია ბოგვერაძე:



ეკატერინე ჟვანია

ლელა მანგოშვილი

ნინო ლაცაბიძე

მზია შევარდნაძე

მზია დადვანი

ქეთევან ბორაშვილი

შოთა მაღლაკელიძე

თეა ხუროშვილი